ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
CHILDREN AND YOUTH DEVELOPMENT FUND

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

ორგანიზაცია "ახალგაზრდა ადვოკატები"

მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განხორციელებული პროექტი

"ადგილობრივი ლიდერები"

გამარჯვებული და წარმატებული სტატიების კრებული

დეკემბერი 2013

თბილისი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განხორციელებული პროექტი

„ადგილობრივი ლიდერები“

გამარჯვებული და წარმატებული სტატიების კრებული

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები“
დეკემბერი, 2013 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

წინათქმა

- პროექტის მნიშვნელობა და შეჯამება 4

გამარჯვებული ნაშრომები:

- მარიამ ჟიჟიაშვილი, ,,საქართველოს ევროპული არჩევანი შესაძლებლობების ანალიზი“.....11
- გიორგი ლაბაური, ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“.....14
- ნანი გიგაური, ,,სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები”..... 16

წარმატებული ნაშრომები თემაზე:,,საქართველოს ევროპული არჩევანი შესაძლებლობების ანალიზი“

- ნინო გაბარაშვილი 19
- ანა ჩანადირი..... 21
- თათია თაყნიაშვილი 23
- ეკა მაჩხანელი 25

წარმატებული ნაშრომები თემაზე: ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“

- ვანო ოქრუაშვილი 27
- დავით სანებლიძე 29
- გიორგი წიკლაური 31
- გიორგი გალუსტაშვილი 32

წარმატებული ნაშრომები თემაზე: ,,სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები”

- გიორგი ქარდავა ……... 34
- ლევან ქავთარაძე ……... 37
- ნინო მარქარაშვილი …… 39
- თორნიკე მირესაშვილი …….. 41

ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია 44

[1] კრებულის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

პროექტის მნიშვნელობა და შეჯამება

საქართველოში, ახალგაზარდობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და განმტკიცების პროცესში, მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია.

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან იძენს უფლებაუნარიანობას, რაც გულისხმობს უშუალო მონაწილეობას ქვეყნის განვითარების პროცესში და არჩევითობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. მოცემული ასაკი მოზარდებისთვის საკუთარი შესაძლებლობების, უნარ–ჩვევების გამოვლენისა და სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივებში მონაწილეობისთვის, თვითრეალიზებისა და დამკვიდრების კარგ შესაძლებლობას იძლევა. ზოგადი განათლებიდან უმაღლესი განათლებისკენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ხედვას მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისთვის, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდებს თავად შესწევთ უნარი, განსაზღვრონ მონაწილეობისა და ჩართულობის ხარისხი და განივითარონ დემოკრატიული აზროვნება.

ხშირ შემთხვევაში, ჩვენს ყოველდღიურობაში, მოქალაქეობრივი მოვალეობის განცდა დაკნინებულია, რადგანაც არ არსებობს შესაბამისი გარემო, სადაც დაინტერესებულ ასეთ მოზარდებს შესაძლებლობა მიეცემათ გამოავლინონ საკუთარი მოტივაცია, განათლების დონე, იმსჯელონ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე და ფართოდ წარმოაჩინონ თავიანთი შეხედულებები საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ. სკოლა, მართალია, მათთვის აუცილებელი აკადემიური გარემოა, თუმცა საჯარო დებატების კულტურა და გამოცდილება, ლიდერის ხასიათი და თვისება, კომპეტენტურობა და კვალიფიციურობა, კონკრეტული თანამონაწილეობის დროს ჩნდება, თუმცა მცირეა იმის შესაძლებლობა, ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თანამონაწილეობისა და ჩართულობის კუთხით, ზოგადი განათლების მქონე ახალგაზრდებისთვის, მნიშვნელოვანი ინიციატივები შეეთავაზებინოს. მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ასაკის მოზარდებს საშუალება ჰქონოდათ, სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მომზადებულ კონკურსებსა და კონფერენციებში საკუთარი ძალისხმევა წარმოედგინათ, არადა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, რათა უარი არ თქვან დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობაზე.

სწორედ ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვისაა გათვალისწინებული აღნიშნული პროექტიც, რომელიც ეფუძნება საკონკურსო პირობას და მოიცავს ერთი რეგიონის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას, მსჯელობას და ინტელექტუალური შესაძლებლობების წახალისებას, რაც ქმნის დამატებით სტიმულს და მოტივაციას ჩამოყალიბდეს სწორი სამოქალაქო პოზიცია, მოზარდები პასუხისმგებლობითა და აუცილებლობით მოეკიდნონ ქვეყნის წინაშე აქტუალურ საკითხებზე ფიქრსა და მსჯელობას.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მოამზადა და განახორციელა პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები“. რომელიც დაეთმო მცხეთის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ჩართულობას. პროექტის თანახმად, დამამთავრებელი მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისთვის გამოცხადდა კონკურსი სამ მნიშვნელოვან საკითხზე/თემაზე ანალიტიკური ნაშრომების/სტატიების წარმოსადგენად. პროექტმა კონკურსის ფარგლებში საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს შემდეგი თემები შესთავაზა:

1. **„საქართველოს ევროპული არჩევანი – შესაძლებლობების ანალიზი“;**
2. **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა – პერსპექტივები და მომავალი“;**
3. **„სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“.**

პროექტის საკონკურსო კომისიამ საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის წარდგენილი თემატიკის დროს სპეციალური განმარტება გააკეთა, რომელიც დაუკავშირდა მესამე საკონკურსო თემის მომზადების შინაარსობრივ მხარეს. კერძოდ, მოსწავლეს მესამე საკონკურსო თემის დამუშავების დროს მხედველობაში უნდა მიეღო სამი აქტუალური გარემოება 1. ახალგაზრდების როლი სახელმწიფოს მართვაში, 2. თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საზოგადოებაში და 3. არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა. თემის „სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“ დამუშავების დროს, ავტორს ყურადღება უნდა გაემახვილებინა სამიდან ერთ–ერთ აქტუალურ გარემოებაზე და დაედგინა სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტი.

პროექტის განხორციელება დაიგეგმა შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპებისგან:

პროექტის მიმდინარეობის გეგმა			
ეტაპი	**აქტივობა**	**დაწყების თარიღი**	**დასრულების თარიღი**
I	***დიალოგის დაწყება სამიზნე ჯგუფთან***	**17 ოქტომბერი**	**07 ნოემბერი**
II	საკონკურსო სტატიების მიღება და დამუშავება. გამარჯვებული/წარმატებული თემების გამოვლენა. მათი ბროშურის სახით ბეჭდვა.	**07 ნოემბერი**	**07 დეკემბერი**
III	კონფერენცია საკონკურსო თემებზე და გამარჯვებული/წარმატებული ავტორების დაჯილდოება.	**18 დეკემბერი**	**18 დეკემბერი**
IV	შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის/მონიტორინგის წარმოდგენა	-	**25 დეკემბერი**

ორგანიზაციამ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში უზრუნველყო გამარჯვებული და წარმატებული სტატიების გამოვლენა და ფართო საზოგადოებაში მისი ავტორების გაცნობა. პროექტის ფარგლებში, შედგა საკონკურსო კომისია, რომელმაც უზრუნველყო თითოეული საკონკურსო თემის მიმართ კონკურსის შეფასების კრიტერიუმები და პრინციპების დადგენა, ასეთი მიდგომებით გამოავლინა გამარჯვებული/წარმატებული ნაშრომები და ორგანიზაციას მიმართა რეკომენდაციით კრებულში მათი წარმოდგენისთვის.

პროექტის საკონკურსო კომისია ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: **ოლგა სპირანდი** - წარმომადგენელი რეინტეგრაციის სამინისტროდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთი ავტონომიური ოლქის საკითხთა სამმართველოს მთავარი მრჩეველი; **ელენე გოცაძე** - წარმომადგენელი ევროინტეგრაციის სამინისტროდან, ნატოსა და ევროკავშირის

შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი **და ბექა ბენდელიანი** - წარმომადგენელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან, ახალგაზრდობის დეპარტამენტის წევრი. საკონკურსო ჯგუფში მონაწილეობაზე, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, უარი განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. საკონკურსო კომისიის ფორმირებას საფუძვლად დაედო ორგანიზაციის 2013 წლის 30 ოქტომბრის მიმართვის წერილები რეინტეგრაციისა და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრების მიმართ, აგრეთვე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მიმართ.

შეხვედრა საკონკურსო კომისიასთან

პროექტის საკონკურსო კომისიის რეკომენდაციით, საკონკურსო თემების მიმართ ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი მოთხოვნები. კერძოდ, თუ რა მსჯელობით უნდა მომზადებულიყო თემა.

1. **„საქართველოს ევროპული არჩევანი – შესაძლებლობების ანალიზი“ – რატომ აირჩიეთ და არის თუ არა სწორი ევროპული არჩევანი (არგუმენტი) და რა შეიძლება იყოს ალტერნატივა, რას გულისხმობს ევროპული ფასეულობები და გვაერთიანებს თუ არა საერთო ფასეულობები, რას ველოდები ევროპული ინტეგრაციისგან, ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, გაძლიერდება ჩვენი იდენტობა, კულტურა, თვითმყოფადობა თუ პირიქით.**

2. **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა – პერსპექტივები და მომავალი“ – კონფლიქტების ისტორია (აფხაზეთი და სამაჩაბლო), როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, კონფლიქტების დარეგულირების გზები.**

3. **„სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“ – როგორი არის და როგორი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები საქართველოში, არგუმენტაცია და შემოთავაზებული დასაბუთებული სტანდარტები.**

ორგანიზაციამ 2013 წლის 14 ნოემბერს შეხვედრა გამართა მცხეთის მუნიციპალიტეტის ოცდარვავე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, სადაც ვრცლად იქნა გაცნობილი პროექტის მნიშვნელობა, ჩართულობის ფორმები და შედეგები. შეხვედრას საჯარო სკოლის 100–ზე მეტი მოსწავლე დაესწრო, რამაც მიუთითა ინიციატივის მიმართ ახალგაზრდების მაღალ ინტერესზე. საბოლოოდ, გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო მცხეთის მუნიციპალიტეტის 14–მა საჯარო სკოლამ, ხოლო სულ საკონკურსო კომისიამ განიხილა 27 ნაშრომი. კონკურსში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის შემდეგი საჯარო სკოლები, ხოლო აღნიშნული სკოლებიდან წარმოდგენილი თემების რაოდენობა მოცემულია სკოლის გასწვრივ აღნიშნული ნომერაციით:

1. **სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა (1)**
2. **გალავნის საჯარო სკოლა (2)**
3. **ქალაქ მცხეთის #2 საჯარო სკოლა (2)**
4. **ქალაქ მცხეთის #1 საჯარო სკოლა (2)**
5. **სოფელ ნიჩბისის საჯარო სკოლა (1)**
6. **სოფელ წეროვნის #1 საჯარო სკოლა (1)**
7. **მისაქციელის საჯარო სკოლა (2)**
8. **სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა (3)**
9. **სოფელ წეროვნის #2 საჯარო სკოლა (2)**
10. **სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა (8)**
11. **ქსნის საჯარო სკოლა (1)**
12. **სოფელ ვაზიანის საჯარო სკოლა (1)**
13. **წეროვნის #3 საჯარო სკოლა (1)**
14. **ქსოვრისის საჯარო სკოლა (1)**

პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მონაწილეობდნენ მეთორმეტე კლასის შემდეგი მოსწავლეები: ნინო გაბარაშვილი, თეონა ქაშიაშვილი, ანა ჩანადირი, მარიამ გინტური, ეთერ ირემაშვილი, ვასილ მარქარაშვილი, ეკა მაჩხანელი, დავით სანებლიძე, გიორგი გალუსტაშვილი, ვანო ოქრუაშვილი, მარიამ გოგიშვილი, გიორგი მახარაშვილი, გიორგი წიკლაური, გიორგი ვარძელაშვილი, ელენე აფციაური, მარი ნიბლაშვილი, ნინო ლონდარიძე, ნონა ჩაბოშვილი, ნინო მარქარაშვილი, გიორგი ქარდავა, ლევანი ქავთარაძე, თორნიკე მირესაშვილი, დიანა მარქარაშვილი, მამია თეთვაძე, მარიამ ჟიჟიაშვილი, გიორგი ლაბაური და ნანი გიგაური.

პროექტში თემაზე: ,,საქართველოს ევროპული არჩევანი შესაძლებლობების ანალიზი“ სტატიები ნაშრომები მოამზადეს: ნინო გაბარაშვილმა, თეონა ქაშიაშვილმა, ანა ჩანადირმა, მარიამ გინტურიმ, ეთერ ირემაშვილმა, ვასილ მარქარაშვილმა, ეკა მაჩხანელმა და მარიამ ჟიჟიაშვილმა. თემაზე: ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“ იმუშავეს შემდეგმა მოსწავლეებმა: დავით სანებლიძემ, გიორგი გალუსტაშვილმა, ვანო ოქრუაშვილმა, მარიამ გოგიშვილმა, გიორგი მახარაშვილმა, გიორგი წიკლაურმა, გიორგი ვარძელაშვილმა, ელენე აფციაურმა, მარი ნიბლაშვილმა, ნინო ლონდარიძემ, ნონა ჩაბოშვილმა და გიორგი ლაბაურმა, ხოლო თემაზე: ,,სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები'', თემები წარმოადგინეს: ნინო მარქარაშვილმა, გიორგი ქარდავამ, ლევანი ქავთარაძემ, თორნიკე მირესაშვილმა, დიანა მარქარაშვილმა, მამია თეთვაძემ და ნანი გიგაურმა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ორგანიზაციის პროექტ: „ადგილობრივი ლიდერების“ გამარჯვებულ საუკეთესო ავტორებად და წარმატებულ ანალიტიკური შინაარსის ნაშრომად საკონკურსო კომისიამ გამოავლინა შემდეგი მოსწავლეები:

1. **მარიამ ჟიჟიაშვილი, თემაზე: „საქართველოს ევროპული არჩევანი შესაძლებლობების ანალიზი“ –სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის #2 საჯარო სკოლა**
2. **გიორგი ლაბაური, თემაზე: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“ – სსიპ ქსოვრისის საჯარო სკოლა**
3. **ნანი გიგაური, თემაზე: „სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები” – მცხეთის მუნიციპალიტეტის გალავნის საჯარო სკოლა.**

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შევნიშნავთ, რომ პროექტის მიმდინარეობის მანძილზე, მთელი რიგი საორგანიზაციო და საინფორმაციო ღონისძიება გაიმართა. 2013 წლის 6 ნოემბერს, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის თავმჯდომარე ირაკლი ჟორჟოლიანთან და ფონდის თავმჯდომარის მოადგილე მურმან პატარაიასთან ერთად, სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს, სადაც საუბარი პროექტის დადებით და მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო. ორგანიზაციის ოფისში შედგა საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა, სადაც განხილულ იქნა საკონკურსო თემების მიმართ კრიტერიუმების შექმნის სტრატეგია. არაერთი შეხვედრა შედგა მცხეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორ ბექა იორდანიშვილთან, ხოლო 2013 წლის 14 ნოემბერს, საკონკურსო თემატიკა და წერის მოთხოვნები, ორგანიზაციამ საჯარო სკოლის მოსწავლეებს მცხეთაში, საერთო შეხვედრაზე გააცნო. საკონკურსო კომისიამ და პროექტში ჩართულმა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ძალისხმევა არ დაიშურეს ინიციატივის განხორციელების ეფექტურობისთვის და პროექტის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. პროექტის თანახმად, გამოიცა აღნიშნული კრებულიც, რომელმაც მოიცვა გამარჯვებული და წარმატებული ნაშრომების გაცნობა, პროექტის მიმდინარეობის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მკითხველისათვის.

 პროექტის საჯარო პრეზენტაცია, შეხვედრები მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცვენტრთან და საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები“ დასრულდა, თუმცა ინიციატივამ შექმნა წინაპირობები, იდეა საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც განხორციელდეს. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა:

- **დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა საზოგადოების/სახელმწიფოს წინაშე,**
- **დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების კომპეტენტურობისა და მოტივაციის ხელშეწყობა და წახალისება,**
- **დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობების დადგენა და ლიდერის უნარ–ჩვევების მხარდაჭერა,**
- **დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის კონკურენტულ გარემოში დამკვიდრებისა და თანაცხოვრების მნიშვნელობის წარმოჩენა**
- **ფართო დიალოგის წარმოება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან და სამართლებრივი ცნობიერებისა და სამოქალაქო ღირებულებების უპირატესობის დასაბუთება**
- **განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების გამოვლენა და საზოგადოებისთვის წარდგენა**
- **დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებში სწორი ღირებულებითი სისტემის გაჩენა და განვითარება**
- **ახალგაზრდების დაინტერესება დემოკრატიულ პროცესებში თანამონაწილოებისთვის**

ორგანიზაცია პროექტის დაწყებამდე ინიციატივას ასაბუთებდა შემდეგნაირად, რომ ახალგაზრდები სასკოლო განათლებიდანვე უნდა აცნობიერებდნენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, სამოქალაქო განათლება კი ამისთვის ხელსაყრელ უნარ–ჩვევებსა და ინიციატივების შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს, თუმცა სკოლა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ისეთი კონკურსებისა და კონფერენციების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ მასობრივი ხასიათი და გააერთიანებს რეგიონის/მუნიციპალიტეტის ინტელექტუალებს, მისცემს მათ საკუთარი განათლებისა და პროფესიონალიზმის გამოვლენის საშუალებას. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ამოცანა, ხშირ შემთხვევაში, ზოგადი განათლების დასრულება და უმაღლესი განათლების დაწყების მიზანია, თუმცა ამ პერიოდში, მომავალ პროფესიებში დარწმუნებულ ახალგაზრდებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სამოქალაქო ცნობიერების გზამკვლევ ინიციატივებში ჩართულობა, რათა გაიღრმავონ კომპეტენცია და კონკურენტულ გარემოში, შეძლონ საკუთარი მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენა.

პროექტის ავტორებს ინიციატივის განხორციელებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საკითხის სისტემური გააზრებით, შესაძლებელია, ამ საჭიროების კვალიფიციურ დონეზე მომზადება, რადგანაც თუკი ახალბედა ინტელექტუალები საზოგადოებრივ სარბიელზე არ გამოვიდნენ, არ უნდა არსებობდეს იმის მაღალი მოლოდინი, რომ ქვეყნის დემოკრატიზაცია და უფლებების სფერო, სამოქალაქო თვითშეგნება და სამოქალაქო პასუხისმგებლობა კანონმდებლობით განმტკიცებული ევროპულ დებულებებს და ღირებულებებს დაუახლოვდება. ამიტომაც, პროექტი იმგვარად ჩატარდა, რომ მოიცვა, რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარე, კონკრეტულად კი, თავისთავად, მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საჯარო სკოლა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროექტმა უზრუნველყო მკვეთრი ხედვის ჩამოყალიბება შემდეგი მიმართულებით:

- **შეაფასა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მოტივაცია და მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობა**

- **დაადგინა ახალგაზრდებში ინტერესის სფერო და ხელი შეუწყო ახალი ხედვების არსებობას,**

- **გამოავლინა საკონკურსო თემებში მსჯელობის ორიგინალური აქცენტები და დაადგინა ახლებური მიდგომები, რომელიც დასმული პრობლემური თემის მიმართ არსებობდა,**

- **იდენტიფიცირება გაუკეთა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ჩართულობის ხარისხსს პროექტის განხორციელებაში,**

- **დაასაბუთა ახალგაზრდობის ერთ–ერთი მიმართულების - მონაწილეობა და შეადარა ის ევროპულ სტანდარტს,**

- **გამოავლინა პრინციპები, რითაც განხილულ თემებში გადაჭრის გზებია ნაჩვენები,**

პროექტის განხორციელება მოცემულ თემაზე და ფორმით, მცხეთის მუნიციპალიტეტში იყო პირველი შემთხვევა, რომელმაც ახლებურად წარმოაჩინა და ხელი შეუწყო უფროსკლასელების დაინტერესებას და მოტივაციას. ინიციატივამ სხვა მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებსა და სკოლებს შორისაც გაზარდა დაინტერესება, რაც გამოიხატა ორგანიზაციასთან, პროექტის მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა კომუნიკაციის ხარისხმა. პროექტში გამარჯვებული/წარმატებული სტატიების ავტორებს მიეცათ განსაკუთრებული მოტივაცია და გაუჩნდათ მაღალი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ–სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თემების მიმართ მსჯელობისა და ჩართულობისათვის. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდობაში, ახალი სახეების წარმოჩენა და მათი საინტერესო ხედვების სამზეოზე გამოტანა, შესაძლებლობას გააჩენს ინიციატივა გახდეს მუდმივმოქმედი და მიეცეს ტრადიციული სახე. პროექტის ცენტრალური ხაზი – მოზარდების/მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო განათლებიდან უმაღლესი განათლების გზაზე, აღმოჩნდა რეალურად უზრუნველყოფილი, რაც უკვე პირველკურსელობისა და სტუდენტობის ეტაპზე, ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, უფრო მეტი ინტერესით მოეკიდონ საუნივერსიტეტო განათლების მიღებას, საუნივერსიტეტო შესაძლებლობებში ჩაბმას და პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

ორგანიზაციის შეფასებით, პროექტის მიმდინარეობამ მკვეთრად წარმოაჩინა იმ რისკ–ფაქტორების შესძლებლობები, რომელიც ავტორებს გასათვალისწინებლად მიაჩნდათ. პროექტის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ შიდა ფაქტორი მთლიანად წარმატებით იქნა გადალახული, რადგანაც არ მომხდარა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების შესაძლო დაბნეულობა საკონკურსო პრინციპების გათავისებისა და შესაბამისი პროდუქტის წარმოდგენის პროცესში, რადგანაც არსებობდა კონკურსანტებსა და ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის ეფექტური კომუნიკაცია. ორგანიზაციას ასეთმა აქტიურობამ გარე რისკ–ფაქტორის გათვალისწინების შესაძლებლობაც გამოკვეთა, რომელიც დაკავშირდა პროექტის დასრულების შემდეგ, ინიციატივის შენარჩუნების ნაწილში. იქედან გამომდინარე, რომ პროექტი დადებითად შეფასდა მუნიციპალიტეტის საჯარო სივრცეში, მასში მონაწილეობა მიიღო მცხეთის საჯარო სკოლების წარმომადგენლობითმა ნაწილმა. შეიქმნა საკონკურსო კომისია და პროექტს ნდობა გამოუცხადა ევროინტეგრაციის, რეინტეგრაციისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, მაღალი აღმოჩნდა მედიის ინტერესი, გვაფიქრებინებს, რომ პროექტი სიცოცხლისუნარიანია და მისი გაგრძელება, 2014 წლისთვის შესაძლებელია რომელიმე სამინისტროსთან სხვა საპროექტი ფორმატში, ისევ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით ან/და დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიებით, რომელიმე ბიზნეს–სტრუქტურასთან აქტიური კომუნიკაციით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს პროექტის გენერალური სპონსორის ცნების შემოტანაც.

გამარჯვებული ნაშრომები

- **,,საქართველოს ევროპული არჩევანი შესაძლებლობების ანალიზი“**

მარიამ ჟიჟიაშვილი
წეროვნის #2 საჯარო სკოლა

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“- ზურაბ ჟვანია. ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის 1999 წლის 27 იანვრის სხდომა.
მას შემდეგ თითქმის 15 წელი გავიდა, ამ სიტყვების ავტორი დღეს აღარ არის ცოცხალი, მაგრამ თავად ფრაზა არ კარგავს აქტუალობას. დღემდე საკამათოა – ნიშნავს თუ არა ქართველობა ევროპელობას. თუკი ვკამათობთ, იბადება კითხვა: ზოგადად, რა არის ევროპა და „ევროპელობა“? რას ნიშნავს ევროპული ფასეულობები? და რატომ ვართ ქართველები ევროპელები?
როდესაც ევროპაზე ფიქრს ვიწყებ, ჩემი აზროვნება ორი მიმართულებით იშლება. პირველი, ვხვდები რომ კაცობრიობის ის სააზროვნო კაპიტალი, რომლითაც დღეს მე ვყალიბდები,ევროპაში იშვა. მეორედ კი მეუფლება უკმაყოფილების და სინანულის განცდა, რომ ისტორიულმა ვითარებამ ძალით აურია ჩემს ქვეყანას ევროპული განვითარების კვალი. დღეს კი ორი მიმართულება უშლის ხელს ჩვენს სრულფასოვან ევროპულ პოლიტიკურ და იდეურ ინტეგრაციას,რომელიც უკვე დაძლევადი ხდება.
პირველი, დრომოჭმული და ცრუკონსერვატიული, რომელიც დასავლურ ფასეულობებს პირდაპირ ეროვნულ საფრთხედ აღიქვამს და მომხრეა იზოლაციონისტური მიდგომის. მეორე კი ფანატიკური მიმღებლობის იდეით გამსჭვალული. ადამიანთა პირველი კატეგორია ალბათ, უფრო შიშნარევად აზროვნებს და მისთვის უცხოა ის საბაზისო ღირებულება, რომ ეროვნული თვითმყოფადობა იზოლაციონიზმის პირობებში არ მიიღწევა. მის შენარჩუნებას ერი მაშინ მოახერხებს, როცა ის არ იხელმძღვანელებს შემდეგი პოსტულატით: ,,არსებობს ორი აზრი:ჩემი და არასწორი“… ზოგადად კი გლობალური და ევროპული საზოგადოების წევრობა ნიშნავს ისეთ მყარ ფასეულობებზე დგომას, როგორიცაა გახსნილობა და შემწყნარებლობა. სწორედ გაათასმაგებული გლობალური კომუნიკაციის პირობებში შეუძლია საქართველოს მსგავს პატარა ერს საკუთარი ნიშის დაკავება მსოფლიო ასპარეზზე.
რაც შეეხება მეორე მიმართულებას, მგონია, რომ მისი მიმდევრები არც ისე მრავლად არიან. ყოველდღიურად საუბრობენ იმაზე, რომ საზოგადოება რელიგიური დოგმატებით აზროვნებს და საჭიროა ძველი ფასეულობებისგან დაცლა. თითქოს ტრადიციები დრომოჭმული სიტყვაა და მისი გამოყენება სირცხვილიცაა. თითქოს უპირობოდ უნდა მივიღოთ ყველაფერი დასავლური და სხვანაირად განვითარება ერს არ უწერია. არადა ევროპელობა სულაც არ გულისხმობს ამას. მწამს, რომ ევროპას ისეთი საქართველო სჭირდება, რომელიც მას ბრმად კი არ მიბაძავს, არამედ შესთავაზებს რაღაც ახალს, შუალედურს ტრადიციასა და ინოვაციას შორის. კოპირებული საზოგადოება ევროპისთვის უბრალოდ საინტერესო და პროდუქტიული ვეღარ იქნება, იგი ვერ შეძლებს “კაცობრიობის სალაროში” თანხის შეტანას...
ნამდვილი ევროპული იდეალი არის სწორედ გონიერი, საღად მოაზროვნე თავისუფლების, ინდივიდუალიზმის და შემწყნარებლობის იდეალებზე დაფუძნებული მტკიცე საზოგადოება, რომელსაც არც მომავალი გადაგვარების ეშინია და არც წარსულის დაკარგვის. თავისუფლება ყოველთვის იდგა პირადზე მაღლა და თითოეული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი თავის ქმედებას უკავშირებდა გარშემო

საზოგადოების ან ერის თავისუფლებას. სწორედ ამან შეგვანარჩუნებინა საკუთარი თავი. მონობის უღლის გადაგდება არ არის ჭეშმარიტი თავისუფლება. თავისუფლება ქმნადობაცაა. ევროპული თავისუფლება არ არის ატომისტური და ეგოისტური, ასეთი რომ იყოს მაშინ ევროპული ერთიანობა არც იარსებებდა, არა და არსებობს!

რაც შეეხება შემწყნარებლობას, მგონია, რომ თეორიები ვერაფერს შეცვლის მანამ, სანამ საზოგადოება რეალურად არ დარწმუნდება რაიმე პრინციპის საჭიროებაში. ქართველები ადრევე დარწმუნდნენ ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობის მნიშვნელობაში და იქნებ ამ საკითხში ევროპის ქვეყნებისთვისაც გაგვესწრო, ვინ იცის… დღეს კი დღის წესრიგში დგას სექსუალური უმცირესობების თემა. ვფიქრობ, კარგია როცა საზოგადოებას უჩნდება გარკვეული რეაქცია რაიმე საკითხზე და არ არის ნიჰილისტურად განწყობილი. პრობლემას ვერ გადაწყვეტს მიდგომა, რომლის თანახმად უმრავლესობა "მონსტრია" და ვერც ის, რომლის მიხედვითაც უმცირესობა "წამლეკავია". ევროპული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ყველა სახელმწიფო ამას ინდივიდუალურად წყვეტს და არ უნდა არსებობდეს დოგმატური პრიმატი. ამდენად, ამ დასკვნასაც იქამდე მივყავართ, რომ ევროპული ფასეულობები დოგმატურად სავალდებულო სულაც არ არის.

და ახლა ცოტა რამ ლიბერალიზმის შესახებ. როგორია ქართულად გაგებული ლიბერალიზმი და ჰგავს კი იგი ევროპულს? მგონია, რომ ახლა ის პროცესი მიმდინარობს, როცა ლიბერალიზმის ჭეშმარიტად პოზიტიურ გაგებამდე მივდივართ. ლიბერალიზმი არ არის ქაოტური თავისუფლების ღრმა რწმენა. ლიბერალიზმს სწამს თავისუფლების იმდენად, რამდენადაც მისი ამოსავალი ღირებულებაა ადამიანი. ღრმად მწამს, რომ ჭეშმარიტი ევროპული, ადამიანზე ცენტრირებული ლიბერალური ფასეულობების გამტარის როლის შეთავსების პოტენციალი საქართველოსაც გააჩნია. ჩემი ევროპული იდეალი კი სწორედ ისეთი საზოგადოებაა, რომელიც უპასუხებს ოქროს გამოწვევას: "შევცვალოთ, რათა შევინარჩუნოთ"...

„ევროპელობა"კი აზროვნების, ფასეულობებისა და ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც პირველ რიგში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მოწყობასა და მასში დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში გამოიხატება. ევროპელობა დიდი გზაა, რომელიც თავად ევროპაში გეოგრაფიულად მდებარე სახელმწიფოებმა განვლეს, რათა იმისთვის მიეღწიათ, სადაც დღეს არიან.

თუკი ვთანხმდებით, რომ ევროპელობა გარკვეულ ფასეულობათა და ღირებულებათა ერთობლიობაა, რომლის მისაღწევად გარკვეული გზის გავლაა საჭირო, მაშინ იმაზეც ვთანმდებით, რომ ევროპა, გარკვეულწილად, ჩვენზე მაღლამდგომ ცივილიზაციას წარმოადგენს. ისტორიულად, საქართველო ყოველთვის იქით მიიწევდა, საითაც ცივილიზაცია იყო, თუმცა, გარკვეული სუბიექტური მიზეზების გამო, ეს წინსვლა ფერხდებოდა. ბიზანტია იმდროინდელი საქართველოს დამაკავშირებელი იყო ევროპასთან, უფრო ადრე კი მისი ადგილი ბერძნებსა და რომაელებს ეკავათ. შესაძლოა, ძალზე აქტიური არა, მაგრამ XI-XII საუკუნეებში ქართველებს უფრო მეტი კავშირი ჰქონდათ ევროპელებთან, ვიდრე მაშინდელ მეზობელ სახელმწიფოებს. მაგალითისთვის, დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების მიმოწერა, თამარ მეფის მცდელობა, ტრაპიზონის იმპერიის შექმნით პირდაპირი კავშირი დაემყარებინა ევროპასთან, ლაშა-გიორგისა და ჯვაროსნების კავშირი. ფაქტია, რომ სვლა ევროპისაკენ იყო, რომელიც დროებით შეფერხდა ბიზანტიის იმპერიის გაქრობისა და მაჰმადიანური ოსმალეთის დამეზობლების შემდეგ. ამ მოვლენამ ევროპას არა მხოლოდ საქართველო მოსწყვიტა, არამედ მთლიანად აზია. ქართველების სურვილი, ყოფილიყვნენ ევროპის ნაწილი, კარგად ჩანს სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობაშიც. ისტორიულმა პროცესმა საქართველო რუსეთამდე მიიყვანა, რომელიც იმ დროისათვის წარმოადგენდა ხიდს ევროპასთან. XVIII-XIX საუკუნის ქართველი მოაზროვნეები,

რომლებმაც რუსეთში მიიღეს განათლება, აქტიურად ეცნობოდნენ ევროპელი განმანათლებლების ნაშრომებს და შესაძლოა არც ისე წარმატებულად, მაგრამ ითვისებდნენ ევროპულ აზროვნებასა და მისგან გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს. მაგალითისთვის გამოდგება სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, დავით და იოანება ტონიშვილებიდა ა.შ. რა თქმა უნდა, მაშინდელი ევროპა მთელი ეპოქით უსწრებდა საქართველოს, მაგრამ, თავისთავად აღსანიშნავია, რომ ქართული არისტოკრატიის ნაწილი არ კარგავდა ევროპასთან კავშირს, რაც პირველ რიგში ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებათა სისტემის გაზიარებაში გამოიხატებოდა. რუსეთის იმპერიის დაშლას ავტომატურად მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება, რომელმაც მხოლოდ სამი წელი გაძლო და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ანექსიას შეეწირა. თუმცა ეს სამი წელი მნიშვნელოვანი იყო, რადგან მაშინდელი მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა ევროპული ღირებულებების გადმოღებას, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. თუმცა პროგრესი 70 წლიანმა გასაბჭოებამ და რეგრესმა შეცვალა, ხოლო 90-იანი წლების პირველი ნახევარიკი არც ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ჩანდა, განსხვავებით ჩვენი ბალტიისპირელი მეგობრებისგან, რომლებიც მალევე გახდნენ „ევროკავშირისა“ და „ნატოს“ წევრები.

თუმცა, ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამის შესაძლებლობა აღარ გვაქვს. ,,ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენ შეგვიძლია იმისთვის, რათა ვიდგეთ საქართველოს გვერდში, როცა გადავალთ ახალ ფაზაზე ჩვენი ერთიანი ისტორიის"-აცხადებს გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი, შტეფან ფულე ბათუმში მიმდინარე კონფერენციაზე (12.07.2013 12:09) საქართველოს მიერ ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოტივაცია უნდა იყოს, გახდეს ისეთი მიმზიდველი ქვეყანა, როგორიც ევროპული ქვეყნებია. ამ აზრს, ალბათ, ბევრი ადამიანი იზიარებს. გიუნტერ ვერჰოიგენის სიტყვებით რომ დავასრულოთ: "შესაძლოა, კვლავაც გაიღოს ფანჯარა ურთიერთთანამშრომლობისათვის, გაიხსნან სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ და თავშეკავების პოლიტიკაც შეიცვალოს, ეს შეიძლება რამდენიმე წელიწადშიც მოხდეს, მაგრამ, ამისთვის საჭიროა ქვეყნის მზადყოფნა, რომ, როდესაც იარსებებს შესაძლებლობა, ის მაქსიმალურად იქნას გამოყენებული".

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.ireporter.ge/33660/#sthash.EBbT5afT.dpuf

http://gip.ge/blog/%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A1/#sthash.4AY2fAsC.dpuf

- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“

გიორგი ლაბაური
ქსოვრისის საჯარო სკოლა

კონფლიქტების ისტორია (აფხაზეთი და სამაჩაბლო)

ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალხს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. მშვიდობიანი მეზობლობა ქართველებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო და ოსებისთვისაც. საქართველო ხშირად იყენებდა ოსთა დაქირავებულ რაზმებს სამხედრო მიზნებისათვის. ოსები უზრუნველყოფდნენ უშიშროებას ჩრდილოეთის მხრიდან. ოსებისათვის ქართველების დახმარებას მოჰქონდა ქირა, საჩუქრები, ნადავლი.

ოსი ხალხი კავკასიის აბორიგენებად შეიძლება ჩაითვალოს. იგი ჩრდილო კავაკასიაში ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში და მშვიდობიან თანაცხოვრებას ეწეოდა ქართველებთან. იქმნებოდა შერეული ოჯახები. ოსური განსახლებები კავკასიონის მწვერვალებიდან სამხრეთისაკენ მიიწევდა. ერთმორწმუნე და მშვიდობიან ოსებს მტრულად არც ქართველები ხვდებოდნენ.

ი. გიულდენშტედტის მონაცემებით ლიახვის ზემო წელზე მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ოსებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველები.[1] მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ოსების დასახლებები მრავლად იყო არა მარტო სამაჩაბლოს, არამედ შიდა ქართლის ტერიტორიაზეც,თვით მტკვრის აუზამდე.

აფხაზები ძირძველი კავკასიელები არიან. აფხაზური ენა ქართულ ენასთან ერთად იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ერთიანდება. თავიანთი არსებობის მანძილზე ქართველებთან ერთად ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას. თავგანწირვით ებრძოდნენ საქართველოს მტრებს და აშენებდნენ საქართველოს ეკონომიკას.

სიტუაცია იცვლება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ. აფხაზეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოდიან ჩრდილო კავკასიისიდან და რუსეთის ტრამალებიდან. უცხოტომელთა ჩამოსახლებითა და დემოგრაფიული ვითარების ქართველთა საზიანოდ შეცვლით, რუსეთი სერიოზულ საყრდენს იქმნიდა ქართველთა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუნცა ჩვენი შემწყნარებლური ბუნების გამო ქართველთა და უცხოტომელთა სერიოზული დაპირისპირება არ მომხდარა.

რუსეთი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც არ ღალატობდა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპს. ქართული ეროვნულ მოძრაობის წინააღმდეგ ეფექტურად იყენებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს. ისინი რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით ამზადებდნენ აფხაზეთისა და ოსეთის გამოყოფას საქართველოდან.

ხდებოდა თავდასხმები ადამიანებზე, ტრანსპორტზე. 1992 წლის აგვისტოში სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი[2]. ქართული სახელმწიფო მხოლოდ ყალიბდებოდა.სუსტი იყო პოლიცია, ჯარი არაორგანიზებული, შეუიარაღებელი. გაუწვრთნელი ჯარი ჩაბმული იქნა საომარ ქმედებებში. დაშვებული იქნა უამრავი შეცდომა, რომელიც ძვირად დაუჯდა საქართველოს. რუსეთმა ადვილად მოახდინა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია, მას მოჰყვა რუსეთისა და რამოდენიმე სახელმწიფოს (რუსეთის მიერ იძულების წესით) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება, რამაც ზიანი მიაყენა თვით აფხაზებს და ოსებსაც. აღიმართა ხალხთა შორის ხელოვნური ბარიერები მავთულხლართების სახით.

სასტუმრო „ქორქიარდ მარიოტში“ მიმდინარე ნატოს საპარლამანტო ასამბლეის სემინარზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გიორგი კუნაძემ განაცხადა:„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში არამარტო

რუსეთის, არამედ საქართველოს პასუხისმგებლობაცაა" მან საქართველოს პირველი მთავრობა დაადანაშაულა აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიის მოშლის მცდელობაში.
2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეგრეთწოდებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის შედეგად ჩვენმა აფხაზმა და ოსმა თანამოქალაქეებმა დაკარგეს ის მცირე თავისუფლებაც, რაც მათ აქამდე ქონდათ. რეალურად ისინი იზოლაციაში აღმოჩნდნენ.

როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ

მთავრობის პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ დიალოგზე უნდა იყოს გათვლილი.შეცდომების აღიარებაზე. მშვიდობიან მოლაპარაკებებს ზურგს უნდა უმაგრებდეს ეკონომიკური სტაბილურობა. თანამედროვე უმუშევრობის, პენსიების სიმცირის, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის ფონზე მოლაპარაკებაც ფუჭი იქნება. ვინაიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, როგორც მათთან საუბრიდან ირკვევა, უკეთესი ცხოვრების პირობები აქვთ.
მთავრობამ მიზნის მიღწევამდე უნდა სცადოს გამოიწვიოს დიალოგზეოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეთა მიერ არჩეული მთავრობა.იზრუნოს იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაბრუნებაზე.

კონფლიქტების დარეგულირების გზები

1. საქართველოში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება.
2. ეკონომიკური დონის ამაღლება. თუ მთავრობა ხალხის კეთილდღეობაზე არ ზრუნავს მთლიანი საქართველოს ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთათვის დაპირებები უსაფუძვლოა.
3. საქმიანი დიალოგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მიერ არჩეულ მთავრობასთან . სამაჩაბლოში თანამედროვე პერიოდში (შემოდგომა,ზამთარი, გაზაფხული) სოფლის მეურნეობის პროდუქტი რუსეთიდან ვერ შემოდის და საქართველოდანაც არ შედის. ამ სიტუაციით სარგებლობა უნდა შეგვეძლოს.
4. ოკუპირებულ ტერიტორიებთან საერთო სავაჭრო ცენტრების შექმნა. (ერგნეთი კარგი მაგალითია).მცირე საწარმოების განლაგება აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე.
5. საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება
6. ტელეგადაცემების და ტელეხიდების მოწყობა. უნდა შეიქმნას მძლავრი გადამცემი ხაზები, რომელიც მავანთა და მავანთა ჩახშობის მიუხედავად მიაღწევს ოკუპირებულ ტერიტოიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეთა გულებთან. გადაცემები უნდა იყოს ქართულ და მათთვის მშობლიურ ენაზე. შესაძლებელია რუსულადაც. ჩვენ უნდა გვქონდეს გადასაცემი ინფორმაცია აქტუალური, საინტერესო და საჭირო. გადაცემები შეგვიძლია დავიწყოთ ჩვენ მოზარდებმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის ისტორიიდან.(სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა.1991წ.
2. 2.მ.ვაჩნაძე. საქართველოს ისტორია. გვ,140-142

- ,,სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“

(თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საზოგადოებაში, არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა)

ნანი გიგაური

გალავნის საჯარო სკოლა

თავისუფლება სულს მართლაც მოსწყურდა, მაგრამ... მრავლისმომცველია ეს ,,მაგრამ“. ვიცით კი, რის უფლებას ვაძლევთ თავს და საიდან, ვისგან გვეძლევა იგი? არსებობს თავისუფლების მცნების ორი განსხვავებული ტერმინი: ელიფთერია ანუ მონობისაგან განთავისუფლება, სოციალური თავისუფლება და ავტოქსერია, რომელიც თვითმფლობელობას, თავისუფალს არჩევანს ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ მასზე საუბრობს კრიტიკოსიც, თეოლოგიც, ხელოვანიც, მაინც შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება წმინდა რელიგიური ცნებაა. თავისუფალი ნება ადამიანს ღვთისგან აქვს მინიჭებული. ასე, რომ თავისუფლება სულაც არ არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნგრევის ტოლფასი. ცნება ,,თავისუფლება“ სულაც არ ნიშნავს ზნეობრივი კანონებისაგან განთავისუფლებას, ზოგადად ადამიანის სულიერ შეზღუდვას. იგი ნიშნავს თავის მოთოკვას და საკუთარ ,,მეზე“ კონტროლს. აი ასეთი ჭეშმარიტი თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის იდეალს და ეს საზოგადოების დაშლას კი არ ნიშნავს, არამედ ხელს უწყობს პიროვნების შინაგან მოწესრიგებას და დისციპლინის განმტკიცებას.როცა თავისუფალი ხარ მომავალი შენს ხელშია. სამწუხაროდ ადამიანებს უჭირთ ამის სწორად გააზრება, ხშირად საზოგადოებამ არ იცის თავისი უფლებები. ამიტომაცაა, რომ ადამიანთა უფლებები ხშირად ირღვევა. ისინი ყოველთვის დამოკიდებულნი არიან ვიღაცაზე ან რაღაცაზე. ძირითადად კი საკუთარი მოქალაქეების დისკრიმინაციას ეწევა. ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტად თვითონ სახელმწიფო ზარალდება, როდესაც საკუთარ მოქალაქეს უზღუდავს თავისუფალ აზროვნებას და სიტყვის თავისუფლებას. კარგია, როცა სახელმწიფოს ღონიერი და თავისუფლად მოაზროვნე ლიდერი ჰყავს, მაგრამ უკეთესია, თუ ასეთივე მოაზროვნე ბევრი ადამიანი წარუძღვება ქვეყანას. ,,დემოკრატია“ ხალხის მმართველობას ნიშნავს და იგი თავისთავად უნდა გულისხმობდეს, რომ სახელმწიფოს მართავს ხალხი, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა, რეალობა კი ჩვენში სხვაგვარია: სახელმწიფო თვითონ მართავს საზოგადოებას, ხალხს. იმისათვის, რომ სახელმწიფოში თავისუფალმა საზოგადოებამ იარსებოს, აუცილებელია სახელმწიფო ზრუნავდეს საზოგადოებრივ ინტერესებზე. იცავდეს მას და ხელს უწყობდეს აზრის თავისუფალ გამოხატვას. მაგრამ რა ხდება რეალურად? მმართველ ორგანოებს მიაჩნიათ, რომ მათი პირდაპირი მოვალეობაა ხალხის მართვა ყოველგვარი განსხვავებული აზრის გაუთვალისწინებლად. მათი აზრით პოლიტიკოსებმა უკეთ იციან რა სურს საზოგადოებას. სინამდვილეში კი მათ საერთოდ არაფერი იციან ჩემი, როგორც საზოგადოების შემადგენელი ერთი ინდივიდის სურვილებზე, შეხედულებებზე, მისწრაფებებზე. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ხელსაყრელი პირობები, რათა ხალხმა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია მოახდინოს თავისუფალ, ყოველთვარი შეზღუდვისა და ცენზურის გარეშე. დამოუკიდებელ, სუვერენულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ყოველი ადამიანი ერთმანეთზე უნდა ზრუნავდეს და არავინ არავის უნდა სჩაგრავდეს, არ მინდა მეშინოდეს ხვალინდელი დღის, არ უნდა მეშინოდეს საკუთარი ნების გამოხატვის. არ მინდა ჩვენში თავისუფალი საზოგადოება და მისი წევრები იდევნებოდნენ და მათი

ინტერესები და მოთხოვნები უგულეველყოფილი იყოს. საზოგადოება რომ სახელმწიფოს სახეა და ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას საზოგადოებრივი მოთხოვნები. ხალხს აქვს უფლება გახდეს თავისუფალი საზოგადოება და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მიიღოს. დღეს ჩვენში არსებული ,,დემოკრატიის" პირობებში შეუძლებელია ამან რეალური სახე მიიღოს, რადგან სახელმწიფო ამის საშუალებას არ იძლევა, იგი ზღუდავს თავისუფალ სიტყვას და აზროვნებას. თუ თავისუფალი სიტყვის და თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობა არ არსებობს შეუძლებელია იარსებოს თავისუფალმა საზოგაოდებამ. თავისუფალი სიტყვა და საზოგადოება ყოველთვის იდევნებოდა და იდევნება. ყოველ ადამიანს, რომელიც საკუთარ მოსაზრებას ღიად და თავისუფლად გამოთქვამს, უამრავი დაბრკოლების გადალახვა უწევს, რადგან ყოველთვის გამოჩნდებიან სხვა ადამიანები, რომლებსაც თავისუფალი, ჯანსაღი აზრი აშინებთ, რადგან თავისუფალი სიტყვა მათ კეთილდღეობას საფრთხეს უქმნის, მათ რეალურ სახეს აშიშვლებს. სინამდვილეში თავისუფლება სულაც არ არის ნგრევისა და წარღვნის ტოლფასი. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც რევოლუციურ თავისუფლებასთან გვაქვს საქმე. ასეთ თავისუფლებას ხომ ძალიან სძულს წესრიგი და ჰარმონია, ანუ ღმერთი, რომელიც თავადაა შინაგანი წესრიგის მომცემი, უფლისგან გვეძლევა თავისუფალი ნება და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია საკუთარი შეხედულებებისამებრ მართოს საკუთარი ცხვორება, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. თუმცა თავისუფალ ნებასთან ერთად ადამიანს აქვს ვალდებულება, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოს. ეს ვალდებულებამას მოვალეს ხდის მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობაზე იზრუნოს, მაგრამ დღეს ადამიანებს ნაკლებად ახსოვთ მათი ეს მისია, ისინი უფრო იმაზე ზრუნავენ, რაც შეიძლება მეტი მიიღონ სახელმწიფოსგან. თავის მხრივ არც სახელმწიფოა დიდად დაინტერესებული საზოგადოების ინტერესების დაცვით. იდევნება საზოგადოებრივი აზრი , ინტერესი და მოთხოვნა. მართალია ხალხს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და რეფერენდუმებში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არ არის. საზოგადოება არჩევანს აკეთებს ერთჯერადად გარკვეული ვადების ფარგლებში და ამ ვადების გასვლამდე გადაწყვეტილების შეცვლის საშუალება რეალურად არ არსებობს. დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალება ხალხს უნდა ჰქონდეს. საზოგადოება ძალზე მომთმენია და სამწუხაროდ ნაკლებად მომთხოვნი. ეს კი ყოველთვის მის საწინააღმდეგოდ მუშაობს. როდესაც ვსაუბრობთ თავისუფალ საზოგადოებაზე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თუ რა სტატუსით სარგებლობს სახელმწიფოში პრესა და ტელევიზია. ხომ არ ხდება მათი შეზღუდვა, ხომ არ ხორციელდება მათზე მკაცრი ცენზურა, ხომ არ ახდენენ ისინი მოქალაქეთა დეზინფორმაციას და ა.შ. სიტყვის თავისუფლებაზე საუბრისად არ იგულისხმება რა თქმა უნდა რომ ყველას ყველაფრის წერის უფლება აქვს. პრესა და მედია საშუალებები უნდა ახდენდნენ თუნდაც ყველასგან განსხვავებული, ოღონდ უეჭველად საღი და გონივრული აზროვნების საზოგადოებამდე შეულამაზებლად მიტანას. საზოგადოების განვითარებისათვის მეტად აუცილებელია ხშირი, საღი დისკუსიები, განსხვავებული აზრის დაფასება და პატივისცემა. კამათი ხომ შობს ჭეშმარიტებას! მაგრამ სამწუხაროდ არც თუ იშვიათად, პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხებული ადამიანები ხდებიან საკუთარი მოსაზრებების მსხვერპლნი და პოლიტიკური პატიმრებიც კი! თუნდაც ერთი პოლიტიკური პატიმრის არსებობა დემოკრატიული ქვეყნის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოსთვის სირცხვილი და დიდ შავი ლაქაა. იგი პირდაპირი მიმანიშნებელია სახელმწიფოში დემოკრატიის არ არსებობისა.

მე, მეთორმეტე კლასის მოსწავლე ვარ. მართალია არ მიმიღია მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ დაფიქსირდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობა. მე

იმედი მაქვს, რომ ეს მართლაც ასე იყო და რომ მომავალშიც ასე იქნება. ვფიქრობ, რომ გულისყურით წაიკითხავთ ჩემს ნაშრომს გამოყენებულ ლიტერატურას არ ვუთითებ, ეს ყველაფერი ვიცი, ბევრს ვკითხულობ, ჩემი ნაფიქრია და ნააზრევია.

დღეს საზოგადოება ითხოვს: იყოს დაცული ადამიანის ღირსება, თავისუფლება და ყველა იყოს თანასწორი. ჩემს მომავალსაც სწორედ ასეთს ვხედავ.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის ახალგაზრდული, ახლებური და რაც მთავარია თავისუფალი აზროვნების როლი, რაც ქვეყნის განვითარების პოტენციალს მნიშვნელოვანწილად გაზრდის. ასე, რომ ახალგაზრდებო, ყოველი კუთხისა, დრო საკუთარი გონივრული იდეები დღის სინათლზე გამოიტანოთ და ერთად ვაშენოთ ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო!

წარმატებული ნაშრომები

- **,,საქართველოს ევროპული არჩევანი – შესაძლებლობების ანალიზი“**
  ნინო გაბარაშვილი,
  სოფელ წეროვნის #1საჯარო სკოლა

1999 წლის 27 იანვრის ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ზურაბ ჟვანიას მიერ წარმოთქმული სიტყვები: "მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი" დღესაც ნათლად გამოხატავს საქართველოსა და ქართველი ხალხის სურვილს გახდეს ევროპის ნაწილი.

მე როგორც საქართველოს ერთ-ერთი ახალგაზრდა მოქალაქე მხარს ვუჭერ და ვეთანხმები საქართველოს არჩევანს და პოლიტიკურ კურსს, რადგან ევროპასთან ინტეგრაცია საქართველოს დაეხმარება დემოკრატიის ხარისხის ამაღლებაში და ასევე ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლების და სამხედრო უსაფრთხოების დაცვაში.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ევროპული მომავალი მხოლოდ ხელისუფლების, ქვეყნის სათავეში მყოფი პირების პოლიტიკურ ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ამაში წვლილი თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეიტანოს. ეს არის მთელი საზოგადოების მიერ გასავლელი გზა, თუ რამდენად ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას იმ პროცესებზე, რასაც ევროინტეგრაცია ჰქვია.

საქართველოს ევროპული არჩევანი განისაზღვრა ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის არჩევით. ეს იყო საძირკველი საქართველოს ევროპისკენ სვლის.

რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ჩვენ გეოგრაფიულად ევროპის ნაწილი ვართ, ეს ვერ გვაქცევს ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, "ევროპელობა" სხვა არაფერია თუ არა იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომლებიც თავად ქმნიან ევროპას.

თუკი ვეთანხმებით, რომ ევროპელობა გარკვეულ ფასეულობათა და ღირებულებათა ერთობლიობაა, რომლის მისაღწევად გარკვეული გზის გავლაა საჭირო, მაშინ იმაზეც ვთანხმდებით, რომ ევროპა გარკვეულწილად ჩვენზე მაღლა მდგომ ცივილიზაციას წარმოადგენს.

"ევროპელობა" აზროვნების, ფასეულობების და ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც პირველ რიგში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მოწყობასა და მასში დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში გამოიხატა. ისე უბრალოდ ვერ ვიტყვით: "აი დღეიდან გადავწყვიტე ევროპელობა" და შენც გახდები, პირიქით ევროპელობა დიდი გზაა, რომელიც თავად ევროპაში გეოგრაფიულად მდებარე სახელმწიფოებმა განვლეს, რათა იმისთვის მიეღწიათ სადაც დღეს არიან.

მიმაჩნია, რომ ყველა ქვეყანასთან ურთიერთობა კარგია, თუ ამით შენი ქვეყნის ტრადიციები არ შეილახება. მაგალითად, ძალიან კარგია თუ ევროპისაგან გადმოვიღებთ როგორ ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც დაცული იქნება თითოეული ადამიანის უფლება, თუმცა საქართველოსთვის როგორც ტრადიციების მიმდევარი ქვეყნისთვის სრულიად მიუღებელია ერთსქესიანთა ქორწინება, რომელიც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კანონითაა ნებადართული. ჩემი აზრით, ასეთი ლმობიერება საქართველოში გამოიწვევს ქართული ტრადიციებისა და ფასეულობების გადაგვარებას.

ქართველები, რომლებიც არასტაბლურ სამეზობლოში ვცხოვრობთ, საკუთარი უსაფრთხოების გარანტად ევროატლანტიკურ ინსტიტუტების წევრობას მივიჩნევთ და ეს ასეცაა. მიუხედავათ იმისა, რომ ევროკავშირმა საქართველოს ევროპული არჩევანი აღიარა,

მისი გაწევრიანება უშორეს პერსპექტივად რჩება. თუმცა საქართველო არ ყრის ფარ-ხმალს და სჯერა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ევროკავშირთან შეძლებისდაგვარად სხვადასხვა მიმართულებით კავშირების განმტკიცებით გაუიოლდება საბოლოო ინტეგრაცია.
"კარგი" არჩევნების ჩატარება ყოველთვის მნიშვნელოვანია, რადგან ის დემოკრატიული სტანდარტების ტესტია.
საქართველო მუშაობს ასოცირების შეთანხმებაზე, ეს არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. ასოცირების შესახებ შეთანხმებით ევროკავშირთან იურიდიულად ვიქნებით დაკავშირებული. მართალია ეს შეთანხმება ევროკავშირთან გაწევრიანებას არ გულისხმობს , თუმცა ეს არის ერთადერთი გზა, რომ ევროკავშირს ეტაპობრივათ დავუკავშირდეთ.
ვილნიუსის სამიტი არ არის საქართველოსთვის გადამწყვეტი მომენტი თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შეთანხმებას მოეწერა ხელი, ამით პრაქტიკულად, საქართველო იღებს ვალდებულებას, ქვეყანაში გავატაროთ ისეთი რეფორმები, რომელიც უკან დახევის საშუალებას არ მოგვცემს, ანუ გზა ევროპისკენ იქნება მხოლოდდამხოლოდ ერთი მიმართულების. ვილნიუსის სამიტი არის ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგათ ჩვენ და ევროპელებმა პარტნიორებმა, რაც დაგვაახლოვებს ევროპასთან და დღესდღეობით, როცა ასე ახლოს ვართ ევროპასთან, ვერანაირმა ფაქტორმა ვერ უნდა შეძლოს, რომ ამ მიზანის მიღწევაში ხელი შეგვიშალოს.
ჩვენ ახალგაზრდა თაობა ვართ, რომელიც ვქმნით საქართველოს მომავალს, ხოლო ევროპა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კიდევ უფრო განვვითარდეთ და თავისუფალ ადამიანებად ჩამოვყალიბდეთ.

- ,,საქართველოს ევროპული არჩევანი – შესაძლებლობების ანალიზი“

ანა ჩანადირი,
მისაქციელის საჯარო სკოლა

ევროპა თანამედროვე მსოფლიოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ევროპის ქვეყნები წამყვან როლს ასრულებენ მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით.

დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე რევოლუციებმა ეროპელებს ჩამოუყალიბა პრინციპული ღირებულებები და ფასეულობები: სიტყვის თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და დემოკრატია. მათ დაცვაში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა მონაწილეობს. აღსანიშნავია, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა როლი დიდია მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთობაში, მათ შორის კონფლიქტების დარეგულირებაში, მოლაპარაკებების წარმოებასა და ომის დროს გასაჭირში მყოფი მეგობარი ქვეყნების დახმარებაში. საქართველოსთვის ეს ფასეულობები, უკვე დიდი ხანია, პრიორიტეტულია. ჩვენ ფასდაუდებელი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა ვართ. არ მოხდება ისე, რომ საქართველომ და ქართველმა ხალხმა ეს ყველაფერი, რაც საუკუნეებმა მოიტანა, დაკარგოს. თუმცა, ეს ხელს არ უშლის ჩვენს ევროინტეგრაციას, რადგან ასეთი უნიკალური კულტურის მქონე ქვეყანა სწორედ რომ მისაღებია ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთა ერთ–ერთი მთავარი მიზანი ქვეყნებს შორის კულტურული თანამშრომლობა და კოორდინაციაა. საქართველო მრავალი წლის განმავლობასი ყოფილა სხვა ქვეყნის წვეშევრდომობაში, თუმცა, მას იდენტობა და კულტურა არ დაუკარგავს.

ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანი სწორია, რადგან ქართველი საზოგადოებისათვის ოდითგანვე ძვირფასი იყო დამოუკიდებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ დიდ აღიარებად უნდა ჩაითვალოს 1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179–ე წევრად საქართველოს მიღება. ამავე დროს, საქართველო ასზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია.

,,დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა დაახლოვება და სწრაფვა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ნატო და ევროკავშირი. 1996 წელს საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდნენ პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე. 1004 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა ,,ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია“, რომელმაც საშუალება მისცა საქართველოს, ახალი ტიპის ურთიერთობები დაემყარებინა ორგანიზაციასთან. დაისახა ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის ნოემბრიდან.“

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქარველოს ევროინტეგრაცია დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. საქართველო მდიდარი კულტურის, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანაა. ქართველი ხალხი აღაფრთოვანებს ევროპისა თუ სხვა ქვეყნის ხალხებს. როცა ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა ასეთი უნიკალური კულტურისა და ტრადიციების ქვეყანას ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად იგრძნოს თავი, მე ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ საქართველო ამას შეძლებს. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ქვეყნის ისტორია, კულტურა და ტრადიციები გავაცნოთ ევროპელებს ისე, რომ არ დავკარგოთ საკუთარი იდენტობა და შევითავსოთ ევროპული ფასეულობებიც. სინამდვილეში, ჩვენმა ქვეყანამ ეს ნაბიჯები დიდი ხნის წინ გადადგა, მაშინ, როცა ვახტანგ VI-მ სულხან–საბა ორბელიანი დიპლომატიური მისიით საფრანგეთში მიავლინა. გარდა ამისა, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობა ევროპის სხვადასხვა ქვეყანასთან.

სწორედ ევროპის ქვეყნებში დაიწყო განმათავისუფლებები მოძრაობები, რისი საფუძველიც საფრანგეთის დიდი რევოლუციები და პატრიოტული სულისკვეთება გახდა. კაცობრიობის მთავარი არსი მოძრაობაში, შრომასა და საკუთარი ქვეყნის დიდ სიყვარულშია. ამიტომ ვერ ეგუება ერი სხვა ქვეყნის უღლის ქვეს ყოფნას.

ქართველმა ხალხმა რეჟიმის წინააღმდეგ 1089 წელს აიმაღლა ხმა, საკუთარი ქვეყნის სიყვარულმა და თავისუფლების წყურვილმა ქართველ ხალხს მისცა ძალა, წასულიყო ჩრდილოეთ მეზობლის წინააღმდეგ. მაშინ, როცა საქართველო საბჭთა ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, მის შესახებ ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცოდა. მისგან განთავისუფლების შემდეგ კი საქართველო გაიცნეს, როგორც სუვერენული სახელმწიფო. დღეს მას მთელი მსოფლიო იცნობს. საქართველოს პოლიტუკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მოვლენების შემდეგ კონსტიტუციური გზით განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ის, ვისაც გამოუვლია თავისუფლების აღდგენის დღეები და გამარჯვებულს განუცდია თავისუფლების სიდიადე, არასდროს დაივიწყებს თავისი ქვეყნის წარსულს და მითუმეტეს, არასდროს დათმობს ასე ნანატრ და ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას, რომელიც თანამოძმეების გმირობასა და ვაჟკაცობას ეფუძნება.

,,2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის გათვალისწინებით, საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი, ისე, როგორ არასდროს ევროკავშირისკენ არის მიმართული, რაც ჩვენში პროგრესს, დემოკრატიას, ადამიანის უფლებების დაცვას, ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივებს უკავშირდება.“

მინდა, გავიხსენო ზურაბ ჟვანიას სიტყვები, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო სხდომაზე წარმოთქვა: ,,მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“, ჩვენ ქართველი ევროპის ნაწილი ვართ. საქართველო, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, განუმეორებელი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, დღეს უფროდაუფრო უახლოვდება ევროპულ ფასეულობებს, ევროკავშირში ინტეგრაციისაგან ველოდები, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო განმტკიცდება სასამართლოს დემოკრატიულობა, საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, მასმედიის თავისუფლების ამაღლება. ჩვენთვის მთავარი პრინციპული ღირებულებაა, დავიცვათ დემოკრატიის, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის ეროპული ფასეულობები, რათა ვიცხოვროთ ერთიან, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია, XII კლასი, თბილისი, 2012. ,,დიოგენე“, გვ.326;
2. ,,საქართველოს ევროპული გზა“, VI საერთაშორისო კონფერენცია.

- ,,საქართველოს ევროპული არჩევანი – შესაძლებლობების ანალიზი“

თათია თაყნიაშვილი
სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა

ისე, როგორც არასდროს, დღეს მკვეთრადაა გამოსახული საქართველოს მიმავალი გზა ევოპისკენ. საქართველო ვითარდება და სახელს იმკვიდრებს ევროპაში. ევროპიდან ჩამოსული ნებისმიერი ადამიანი არ რჩება გულგრილი ჩვენი ქვეყნის სილამაზის, სტუმართმოყვარეობის, ადათ-წესების, ჩვეულებების მიმართ.ბუნებრივია ასეთი ღირსებებით შემკობილი ქვეყანა ევროპისთვის სასურველი და მიმზიდველია. ბევრი ევროპელი იქაური აქტიური ცხოვრებით დაღლილი ჩვენს ქვეყანაში ეძებს სიმშვიდეს. საინტერესოა, რატომ ვერ მივაღწიეთ აქამდე ,,ნამდვილ ევროპელობას?“ რა იყო ხელის შემშლელი?

ჩემი აზრით, ამის მიზეზი იყო ქართული მენტალიტეტი. მიიჩნევდნენ, რომ ქართველების გაევროპელება გამოიწვევდა ქართული ღირსებების დაკარგვას.XIX საუკუნის მწერლები იღებდნენ განათლებას ევოპაში. მათი გადმოცემით ქართველი ხალხი ვერ შესძლებდა იქაური ცხოვრების შესისხლხორცებას.

აი რას ამბობს ნიკო ლორთქიფანიძე საკუთარ ნაწარმოებში ,,შელოცვა რადიოთი“. ქართველები ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობთ, მე შეიძლება ისე კარგად არ ვიცოდე თქვენი ისტორია, მაგრამ რაც ვიცი მაკვირვებს, როგორ გადავურჩით ამდენ მტერს. ქართველები მუდმივად ვფიქრობთ ეროვნული სხეულის შენარჩუნებას.

ქართველისთის რაც სირცხვილია, ევროპელმა შეიძლება არაფრად მიიჩნიოს. დღეს ხალხთა უმრავლესობას მოსწონს ევროპული ცხოვრება. რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს პროგრესს. უკეთესია, რომ საქართველო განვითარდეს და ამ განვითარებით გამოიკვეთოს ქვეყნის ღირსებები ევროპაში, თუმცა ამ ყველაფერს უარყოფითი მხარეებიც აქვს, იკარგება ქართული სული. გაევროპელება უნდა მოვახარხოთ ისე, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ღირსებები და არა დავკარგოთ ისინი, ,,საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენი წინაპრები, მრავალი წლის მანძილზე, შრომობდნენ, წვალობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქვეყანა ყოფილიყო დამოუკიდებელი. წვალებით მიღებული თვისუფლება, რა თქმა უნდა, გვსურს, რომ ბოლომდე შევინარჩუნოთ. რისთვის შესწირა ილია ჭავჭავაძემ საკუთრი სიცოცხლე საქარათველოს? რისთვის იბრძოდა ის კალმით? იმისთვის, რომ ისევ უცხოს ხელში ჩავარდეს სამშობლო? დღეს კი ჩვენ ნელი ნაბიჯებით ვკარგავთ, ჩვენი ქვეყნის გამორჩეულობას, განსხავვებას სხვა ქვეყნებისაგან.

ერთადერთი ქვეყანა,რომელიც მარავლი წლის განმავლობაში ჩვენს მგეობრად, მფარველად ითვლებოდა, არის რუსეთი. რუსეთის მთვარობა ყველანაირად ხელს უშლის საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზას, რადგან საქართველოდან დიდ სარგებელს იღებდა და კვლავაც მოელის დაკარგულ რესურსს და ამიტომაა, რომ გაშმაგებით იბრძვის საქართველოს დასაბრუნებლად. ღმერთმა წაბაძვის ნიჭი ჭარბად მოგვცა ქართველებს. ჩვენ ვიყენებთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს, რომ საკუთარი ღირსებით შევდგათ ნაბიჯი ევროპაში. გვყოფნის ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, მაგრამ მაინც ვბაძავთ უცხოელთ ცხოვრებას. გვგონია, რომ ამ მიბაძვით უკვე ევროპელები ვართ.

ევროპაში ცხოვრობს გულგრილი, საკუთარ თავზე გადამკვდარი ხალხი. არ იციან მეზობლური, ნათესაური დამოკიდებულება. ზოგან ქუჩაში წაქცეულს ან ცუდად გამხდარს ყურს არავინ უგდებს, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ხალხი ქართველებს ახასიათებს, როგორც სტუმართმოყვარე, მოსიყვარულე ერს. ევროპაში

გაწევრიანების შემთხვევაში საქართელო დაკარგავს საკუთრ თვიდმყოფადობას, კულტურას და მთლიანად გაევროპელდება. ქვეყანას აღარ ექნება ის, რაც ძალიან მნიშვენლოვანია წარმატებისთვის.
ნაწილობრივ ვეთანეხმები ამ გადაწყვეტილებას, თუმცა გაევროპელება უნდა მოვახერხოთ ისე, რომ არ დავკარგოთ ქართული კულტურა და ადათ–წესები.

- „საქართველოს ევროპული არჩევანი – შესაძლებლობების ანალიზი“
  ეკა მაჩხანელი
  ქალაქ მცხეთის #1 საჯარო სკოლა

ადამიანები ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, ვაყალიბებთ აზრებს და შემდეგ მათ ვავითარებთ, თუმცა ამ ყოველივეს ფურცელზე გადმოტანა ძალზე გვიჭირს, ამას მაინც ვახერხებთ, რადგან ოდითგანვე და ახლაც მხოლოდ ამ ფურცლებს შეუძლიათ შეუნახონ ჩვენს მომავალ თაობას ისტორია, რომელიც ყოველდღიურად იწერება. ყოველთვის მინდოდა ამ თემაზე უფრო მეტი გამეგო, რადგან დღესდღეობით ევროპული ფასეულობები ძალზედ აქტუალური თემაა საზოგადოებაში, თითქოს ყველა ჩვენგანს ერთი მიზანი ამოძრავებს და ცდილობს მისკენ მიღწევის გზები დასახოს. ის სიცოცხლის ელექსირს ჰგავს, რომელიც გვიხანგძლივებს სიცოცხლეს. ევროპა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გლობალურ საკითხებში, როგორიცაა: ეკონომიკა, ისტორია, პოლიტიკა. ეს ტერმინი ჩვენთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავს. ის ყოველთვის განვითარების, ევოლუციის მამოძრავებელი ძალა იყო. ჩვენ, სკოლის მოსწავლეები, საზოგადოების იმ ნაწილს წარმოვადგენთ, რომელიც რეალობას ნათლად ხედავს და უდრეკელი სულით, მოქმედებებით ცდილობს არასწორი ხედვა მომავლისა შეცვალოს.
ჩემთვის ევროპული ფასეულობებიდან ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატია, რადგან ის არის საფუძველი ყველა დანარჩენი განშტოებისა , რომელიც ძლიერი ხის ტოტებს წარმოადგენს, ფესვები კი საზოგადოებაა, ის უშიშარი, სიახლეების მოყვარული, თავისუფალი სიტყვის დამცველი საზოგადოებაა, რომელსაც უნდა თავისი სამშობლო განვითარების გზაზე დააყენოს, სადაც სიტყვა „შიმშილის“ მნიშვნელობა არავის ეცოდინება, სადაც უმუშევრობა მივიწყებულ სიტყვად იქნება ჩათვლილი, სადაც განათლების მიღება ყველა ბავშვს შეეძლება. განურჩევლად რასისა და სოციალური ფენისა, სადაც მთავრობა ორიენტირებული იქნება ხალხის კეთილდღეობაზე და არასაკუთარის სურვილების განხორციელებაზე. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი ჯაჭვურად იკვრება და ქმნის ევროპულ ერთიანობას. ფასეულობებს, რაც ჩემთვის, ჩემი თანასწორებისათვის წარმოადგენს იმ კამკამა წყალს, რომელიც გარეშეც თევზს სიცოცხლე არ წარმოუდგენია.
ჩვენ ვიბრძვით თავისუფლებისათვის, ვიბრძვით, რომ მომავალი მხოლოდ ნათელი იყოს, შევძლოთ იმ ოცნებების ასრულება, რომელთა ახდენაც ვერ შეძლეს ჩვენმა წინაპრებმა... გვინდა რომ საზღვარი ღია იყოს, რათა თანამედროვე ახალგაზრდობამ შეძლოს უფრო მეტის შეთვისება, უფრო მეტად განვითარება და ამით სამშობლო წინდაწინ, განვითარების უმაღლეს საფეხურზე დააყენონ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ფასეულობები ტრადიციები უნდა უარვყოთ. ყოველთვის საჭიროა შევიძინოთ ახალი, თანამედროვე ცოდნა, თუმცა არ უნდა დავკარგოთ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი ისტორია. ის ჩვენი ცხოვრების ნაწილია. თუმცა იმაზე არავინ დაგვძრახავს, რომ მოვინდომოთ უკეთესი მომავალი, პიროვნების თავისუფლება, რადგან ადამიანის გონებას ბევრად მეტი შეუძლია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ის არის სიცოცხლის ნაწილი, რომლის გარეშეც უბრალოდ, არსებობა შეუძლებელია.

ჩემთვის ევროპა დიდი რკინის კარია ჩაკეტილი, თუმცა მისი გაღება ორატორს არ შეუძლია , მას მხოლოდ ხელოსანი გააღებს, მოქმედი ადამიანი. ადამიანი, რომელიც შრომობს და შედეგს აღწევს, ორატორი კი საუბრობს. თუმცა ორივე ერთად კარგი გვინდა. ორატორმა იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ კარის გაღებას, ხელოსანი კი ამას პრაქტიკაში

ახორციელებს. ჩემი ოცნებაა ამ პატარა ერმა, ქვეყანამ, რომელმაც უამრავ ჭირს, დარდს, მტრის შემოსევას, ხოცვა-ჟლეტვას გაუძლო შეძლოს ორმოდან ამოსვლა და დანახვა ფერადი ყვავილებით შემოსილი მინდვრისა, რომელიც მას ელოდება. იქ თითოეული ყვავილი ახალი სიცოცხლის, ახალი მისწრაფებება, აზრები, მიზნები, ცოდნა და სიახლეებია. დღესდღეისობით მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, რომლებიც ცდილობენ გააღრმაონ ურთიერთობა საქართველოსა და ევროპას შორის. ვფიქრობ, კარგი იქნება კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა, სხვადასხვა კონკურსის ჩატარება ამ საკითხებთან დაკავშირებით და ხელის შეწყობა იმ ხალხის საქმიანობისათვის, რომელსაც სურს ყველა ჩვენგანს გაგვიზიაროს უფრო მეტი ცოდნა.

როდესაც თემის წერა დავიწყე, გონებაში ჩამოვაყალიბე მთავარი მიზეზი, რამაც გადამაწყვეტინა ჩემი შეხედულება გამომეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით: ეს იმედია, იმედი იმისა, რომ საზოგადოება გაიგებს ჩემს სურვილებს, მიზნებს და შეეცდება საკუთარი მარცვალიც დათესოს იმ ბაღში, რომელშიც იზრდება ევროპული ფასეულობები. იზრდება და მას ხელის შეწყობა უნდა. ვიმედოვნებ, ეს პროცესი დაუბრკოლებლად გაგრძელდება.

- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“

ვანო ოქრუაშვილი
სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა

“აფხაზთა სამეფო” იყო ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური სამეფო, რომელიც წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად (VIII საუკუნის 80-90-იანი და X საუკუნის 80-იან წწ). აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები იყვნენ. მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ აფხაზები, კავკასიის სხვა ხალხები. მოსახლეობის უმრავლესობის სალაპარაკო ენა ქართული იყო. ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი იყო. აფხაზეთის ტერიტორია 1864 წელს ანექსირებული იქნა რუსეთის იმპერიის მიერ. მან გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და სოხუმის „ოკრუგი“ უწოდა. 1917-1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაშია. ის იყო ფორმალურად დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელმაც იარსება 1921-1931 წლამდე, შემდეგ ის გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად 1990 წლამდე.

1991 წლის 31 მარტში, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა თავისუფალი არჩევნები.1918წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე მიიღეს დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.საქართველო პირველი სახელმწიფო იყო სსრკ-ის ტერიტორიაზე, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამან უფრო გაამძაფრა რუსული აგრესია.

შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში დაიწყო 1992 წლის 14 აგვისტოს და გაგრძელდა 1993 წლის 30 სექტემბრამდე. სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთმა ნაწილმა ცეცხლი გაუხსნა პოლიციის კოლონას, რომელიც იცავდა კომუნიკაციებს. კონფლიქტი სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ამ ომმა ფაქტობრივად აფხაზეთის კაპიტულაცია გამოიწვია და სწორედ ეს იყო ხელისშემშლელი უმთავრესი მიზეზი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

ომის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის. ქვეყანამ გაიღო უდიდესი მსხვერპლი, მიიღო უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა შეტაკებებმა მთლიანად გააპარტახა აფხაზეთის ტერიტორია.

აფხაზეთის ტერიტორია სარგებლობს დეფაქტო დამოუკიდებლობით და ის მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის მიუხედავად, ის მაინც მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის პარალელურად ვითარდებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტი. სამაჩაბლო ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ის წარმოიშვა XV საუკუნის დასაწყისში.

როგორც კი საქართველომ დაიწყო ბრძოლა და მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა კავშირმა დაუფარავად და თავხედურად გამოაცხადა: საქართველო გავა საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ აფხაზეთისა და ოსეთის გარეშეო. ამ მიზნის შემსრულებელ აღმასრულებელი იყო მხოლოდ საბჭოთა არმია. მათ დაიწყეს იარაღის შეტანა და სეპარატისტული შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ტერიტორიების ოკუპაცია-ანექსია.

საბჭოთა პერიოდში რუსულმა სპეც-სამსახურებმა პირველი პოლიტიკური დარტყმა საქართველოს ჯერ კიდევ 1990 წლის 20 სექტემბერს მიაყენეს, როდესაც მათ მიიღეს დადგენილება „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.“ ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა.

სეპარატისტული დაჯგუფებები, რუსეთის არმიის ზურგს ამოფარებულები, ახორციელებდენენ ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის მიზნით წარმოებულ ბრძოლას. ეს კონფლიქტი არც ეროვნულ მოძრაობას და არც ზვიად გამსახურ-დიას ხელისუფლებას არ წარმოუქმნია. იგი სამომავლო პროვოკაციების მიზნით „შთამომავლობით დაუტოვა“ საქართველოს კომუნისტურმა რეჟიმმა და დღემდე ასე გრძელდება. ამის დასტური იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელმაც შეძრა მთელი მსოფლიო და დაანახა ყველას რუსეთის ზრახვები. მან სამხედრო ძალის გამოყენებით შეძლო საქართველოს სუვერენული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, ასევე კონფლიქტის ზონების მიმდებარე ტერიტორიის ოკუპაცია და სამართლის ნორმების დარღვევით აღიარა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა. რუსი სამხედროებისა და მათ მიერ შექმნილი მარიონეტული რეჟიმების მოქმედების შედეგად განხორციელდა ეთნიკური წმენდა და ათობით ათასი ქართველი გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან.

რუსეთს თავისი მოქმედებით სურს კავკასიის რეგიონში შეცვალოს საზღვრები და მოიპოვოს კონტროლი მასზე,რაც საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს,არამედ მთელ ევროპულ ქვეყნებს.ისინი მუდმივად ახორციელებენ შეიარაღებულ პროვოკა-ციებს ვითარების ესკალაციის მიზნით,რადგან საქართველო პატარა, სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოა. ის აუცილებლად უნდა გაწევრიანდეს ევრო-სტრუქტურებში, რათა ქვეყანამ შეძლოს იმედიანი,მშვიდობიანი ქვეყნის მშენებლობა, გვქონდეს უსაფრთხო მომავალი. თუ ქვეყანა არ იქნება უსაფრთხო და სტაბილური, ვერ მოხდება ქვეყნის განვითარება, ვერ მოიზიდავენ ინვესტორებს და ვერ მოხდება საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირება. ამიტომ, საქართველოს სახელმწიფოს მთავარი ამოცანა უნდა იყოსგააღრმავოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან და დაიცვას ტერიტორიუ-ლი მთლიანობა,მაგრამ რადგან რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტო-რიის 20%,რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას და საფრთხეს უქმნის ქართულ სახელ-მწიფოებრივობას,მთავრობამ მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყვიტოს ეს რთული პრობლემა.საქართველომ უნდა გააგრძელოს ეკონომიკური განვითრება, უნდა გამოიყენოს არსებული რესურსები, ოპტიმალურად დაიცვას მოქალაქეების უფლებები და უსაფრთხოება. ჩამოყალიბდეს ძლიერ სახელმწიფოდ, უნდა განეიტრალდეს არსებული ყველა საფრთხე და მოხდეს ქვეყნის შემდგომი განვითარება, რათა ის მიმზიდველი გახდეს ყველასთვის.

ამისთვის საჭიროა საერთაშორისო თნამეგობრობის მხარდაჭერა, ევროპულ და ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია, რათა გაძლიერდეს დემოკრატიული პროცესები ქვეყანაში და საქართველოს სახელმწიფო გახდეს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა.

- **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“**
  დავით სანებლიძე,
  სოფელ წეროვნის #2 საჯარო სკოლა

სსრკ-ს დაშლისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნის მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია დღემდე იბრძვის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში გავლენის შესანარჩუნებლად, რისთვისაც ძალისხმევა არ დაიშურა ყოფილ ავტონომიურ რესპუბლიკებში სეპარატისტული მოძრაობების გასაძლიერებლად. 1990 წ. 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ ცალმხრივად მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ.
ამის საპასუხოდ, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით 1992 წ. აგვისტოში აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი, რის გამოც სეპარატისტებმა, რუსეთის არმიის ნაწილების აქტიური მხარდაჭერით, 1993 წ. სექტემბერში საზღვარი მდინარე ენგურზე გაავლეს და გამოდევნეს 300 000 -ზე მეტი ქართველი. ამისივე მსგავსი სცენარი განვითარდა ისტორიულ სამაჩაბლოში. 1990 წ. დეკემბერში ოსმა სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს, რის საპასუხოდაც 1990 წ. 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა. სსრკ-ს პრეზიდენტმა მ.გორბაჩოვმა კი ის აღადგინა, რასაც შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა ქართულ და ოსურ მოსახლეობას შორის. ამის შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას საშუალება მისცა მისი მოქალაქეობა მიეღო. რუსეთის პრეზიდენტის დ.მედვედევის მტკიცებით ამ რეგიონების მოსახლეობის 90%-ს რუსული პასპორტები ჰქონდათ, რაც საკმარისი საბაბია რეგიონში რუსეთის ინტერვენციისათვის მათი მოქალაქეობის დასაცავად, სამშვიდობოების მისიის ფარგლებში.
იმავდროულად სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევა სააკაშვილის ადმინისტრაციის მთავარი მიზანი იყო, თუმცა არც მშვიდობიანი მოლაპარაკებები და მითუმეტეს 2008 წლის აგვისტოში განვითარებული საომარი მოქმედებები საქართველოს სასარგებლოდ არ დასრულებულა, პირიქით - რუსეთმა ოფიციალურად სცნო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) და წევრია ასზე მეტი საერთაშორისო, სამთავრობათაშორისო თუ არასამთავრობათა შორისო ორგანიზაციისა. მათ შორის აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ევროპის საბჭო, ევროპის სავაჭრო ორგანიზაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა და სხვ. ეს ორგანიზაციები ცალსახად მხცარს უჭერენ საქართველოს რესპუბლიკის ერთიანობასა და სუვერენიტეტს.
ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ხანგრძლივი პრობლემაა და მისი მოგვარება ვერც ახლო მომავალში მოხერხდება. უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენებისა და კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის არსებული ფუნდამენტური წინააღმდეგობის გამო (უპირველეს ყოვლისა ასეთ წინააღმდეგობად მიმაჩნია რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირება საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებთან). არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რა გზას უნდა დაადგეს საქართველოს მთავრობა იმისათვის, რომ გადაწყვიტოს ეს ურთულესი პრობლემა, რომ მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი

ინტერესები? პირველ რიგში საქართველოს მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის მოდელზე, უნდა განისაზღვროს რა სახის სახელმწიფო იქნება საქართველო: უნიტარული თუ ფედერალური. ბოლო პერიოდში ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის იდეას უფრო მეტი მომხრე უჩნდება. ჩემი აზრით, ფედერაციული პრინციპი არის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, ერთი მხრივ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და მეორე მხრივ იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ინტერესები. იდეა გულისხმობს ფედერალური სუბიექტებისათვის მაქსიმალურად ფართო უფლებების მინიჭებას, რომლებიც გარანტირებული იქნება საქართველოს კონსტიტუციით. მიღწეული შეთანხმების გარანტირების როლს შეასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ასევე მოხდებოდა შეთანხმება იძულებით ადგილნაცვალ პირთა მასობრივად და ორგანიზებულად დაბრუნებაზე თავიანთ კუთვნილ ტერიტორიებზე. მხარეები აიღებდნენ თავისთავზე საომარი მოქმედებების განუახლებლობის ვალდებულებას. ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს საქართველოს მთავრობამ უნდა შესთავაზოს ძალზედ ფართო უფლებამოსილებანი: საკუთარი კონსტიტუცია, ჰიმნი, გერბი, პარლამენტი და სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტები. ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციაში იქნება უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება, საკუთარი ბიუჯეტის ფორმირება, ადგილობრივი გადასახადების დაწესება-ამოღება, სასამართლო-პროკურატურა. კულტურის, განათლების, ჯანდაცვის საკითხები და სხვა უფლებამოსილებანი, რომელთა გარეშეც ფედერალური სახელმწიფოს შექმნა აზრს კარგავს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს რუსეთის ფაქტორი. ის არის ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშე კონფლიქტის გარშემო მიმდინარე პროცესებში და ამ ეტაპზე, მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული პრობლემის ჩვენ სასარგებლოდ მოგვარება, მაგრამ თუ მოხდება საქართველოს და სეპარატისტულ რეგიონებს შორის ინტერესთა თანხვედრა და რუსეთის გვერდის ავლით ეფექტური მოლაპარაკებების გამართვა, ასეთ შემთხვევაში რუსეთს გაუჭირდება ყველა მონაწილის წინააღმდეგ წასვლა და ის გამოჩნდება ღია აგრესორად არა მარტო იმათ მიმართ, ვისგანაც ის თითქოს იცავს დეფაქტო რესპუბლიკებს, არამედ თვით ამ რეგიონების მიმართაც. საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად უნდა ეცადოს კომპრომისის მიღწევას რუსეთთან. ვითვალისწინებთ რა, საერთაშორისო რეაქციას, რომელშიც ევროკავშირი და აშშ დომინირებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმირების საკითხი დადებითად გადაწყდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.უახლესისტორიაXII კლასი -გ.აბდალაძე,ნ.კვიტაიშვილი,ბ.კუპატაძე,ქ.ჯანუაშვილი -„საქართველოს მაცნე“ 2008 წ. გვ.

2.www.ka.wikipedia.org.-რუსეთ-საქრთველოს ომი (2008);

3. www.nplg.gov.ge -საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები;

4. www.en.wikipedia.org/Georgia/

5.www.en.wikipedia.org/Georgian-Abkhazian conflict

6.www.en.wikipedia.org/Georgia/War in South Ossetia

- **,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“**

გიორგი წიკლაური,
სოფელ ვაზიანის საჯარო სკოლა

ჩემი სამშობლო საქართველოა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში დიდი ჭირ-ვარამი გადაუტანია, ვინ არ შემოსევია ჩემს ქვეყანას:რომაელი თუ არაბი, თათარ- მონღოლი თუ სპარსი,თურქ-ოსმალო თუ რუსი. ქართველი კაცი თვითონვე ახერხებდა ქვეყნის დაცვას: ხან ბრძოლით, ხან დიპლომატიით.

ისტორია გვასწავლის, რომ ქართველი ხალხის ძალა მის ერთიანობაშია. გადამწყვეტ წარმატებებს მხოლოდ მაშინ აღწევდა , როცა იგი ერთიანი და განუყოფელი იყო. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა საკმაოდ რთული იყო. დიდი გზა განვლო ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების რთულ გზაზე. დღეს ჩემი ქვეყნის ერთი მეხუთედი ისევ ოკუპირებულია ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ, მაგრამ

„ ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...“ (1)

მე ერთ პატარა ქართველს, ძალიან მაწუხებს დაკარგული ტერიტორიები,ამიტომ მინდა ჩემი ხედვა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით წარმოგიდგინოთ. მე არ მინდა ომი!,არც ჩემი თანატოლები აპირებენ მომავალში სისხლის დაღვრას,უაზროდ თავის გაწირვას,ჩვენ მიმტევებელი ერი ვართ, მიმაჩნია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგითაა შესაძლებელი პრობლემის მოგვარება.

მე ისევ შერიგებისაკენ მოვუწოდებ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს,მიმაჩნია,რომ ჩვენი მთავრობა ყველაფერს უნდა აკეთებდეს ქვეყნის გამთლიანებისათვის.პირველ რიგში აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების არსებობა: სამართლიანი არჩევნები, აზრის გამოხატვის თავისუფლება. საჭიროა ნდობის აღდგენა. ეკონომიური და სოციალური წინსვლა,რათა ჩვენი ქვეყანა მიმზიდველი და საინტერესო გახდეს მათთვის. საშუალება უნდა მივცეთ საკუთარი ხედვა დააფიქსირონ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს მოსმენა, ამისათვის საჭიროა შეიქმნას ჯგუფი, ორივე მხარისათვის მისაღები, სანდო ადამიანებით დაკომპლექტებული, მედიატორების, იურისტების ჩართვა, კარგი იქნება საზღვრისპირა ტერიტორიებთან აშენდეს საწარმოები, სადაც საშუალება ექნებათ გვერდი-გვერდ მუშაობის, საერთო ბიზნესის დაწყების, ვაჭრობის ხელშეწყობის, მიმოსვლის აღდგენის. აფხაზ და ოს ძმებს აუცილებელია ჰქონდეთ თანასწორობის განცდა ,წარსულის შეცდომების გათვალისწინებით უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი მიდგომები. ახალგაზრდული ბანაკების, სპორტული ღონისძიებების, ტელეხიდების,(აუცილებელია ჟურნალისტების აქტიურობა) ექსკურსიების მოწყობა.სახელმძღვანელოების შეტანა საქართველოს ისტორიის კარგად გაცნობის მიზნით.ფაქტებით, დოკუმენტებით საუბარი.

ჩვენი საერთო მტერი კვლავ „გათიშე და იბატონე“-ს ნაცად ხერხს იყენებს, აუცილებელია ამ ხრიკების გაცნობიერება, რათა ანკესზე არ წამოვეგოთ კვლავ. საქართველოში მცხოვრებმა უმცირესობებმა უნდა გაითავისონ, ის რომ საქართველო მათი სამშობლოცაა, რომ მოვალენი არიან კვლავ დაიცვან ჩვენი კულტურა, პატივი სცენ ჩვენ საერთო წარსულს, ენას,კონსტიტუციას, რამეთუ საუკუნეების განმავლობაში მათთან ერთად ვიბრძოდით საერთო მტრის წინააღმდეგ, ერთად ვქმნიდით ერთიან საქართველოს.

მე იმედი მაქვს გამოვნახავთ საერთო ენას, საქართველოს ახალგაზრდობა ახლებური იდეებით შევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელიც მისაღები იქნება როგორც ოსი და აფხაზი ისე საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის და ისევ გაბრწყინდება „ ცა-ფირუზივით ლამაზი“ (2) ჩემი საქართველო.

---

(1) ი.ჭავჭავაძის I ტომი. გვ. 115.

(2) ა. წერეთლის ლექსი ,,განთიადი“

გამოყენებული ლიტერატურა:ილია ჭავჭავაძე „ ლექსი ჩემო კარგო ქვეყანავ!“

- **,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა - პერსპექტივები და მომავალი“**
  გიორგი გალუსტაშვილი,
  სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა

საქართველოს თავის ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად ყოველთვის ჰყავდა ძალიან ბევრი მტრი, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ჰქონდა ძალიან კარგი ტერიტორიული მდებარეობა.საქართველოს ძალიან დიდი ხანია მეზობელი ქვეყნების ძალაუფლების ქვეშ მოექცა და ნელ-ნელა ტერიტორიებსაც კარგავს,ეს პროცესი ჯერ კიდევგრძელდება.

საქართველოსთვის ტერიტორიის დაკარგვის ერთ-ერთი მაგალითია აფხაზეთი, რომელიც 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრაკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობააში ავტონომიის სახით იყო წარმოდგენილი, რასაც ადასტურებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1921 წელს რუსეთის მხრიდან იყო აფხაზეთის საქართველოსთან დაშორების მცდელობა რაც ქართველი და აფხაზი ხალხის წყალობით კრახით დამთავრდა. 1921-1991 წლებში რუსული საბჭოთა ანექსიის დროს აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შედიოდა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1991 წელს ქართველმა ხალხმა მეორედ შეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და შექმნა საქართველოს რესპუბლიკა, რომლის შემადგენლოობაში კონსტიტუცის თანახმად აფხაზეთი ფართო ავტონომიური უფლებით იყო წარმოდგენილი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში რუსულმაიმპერიულმა ძალებმა შეძლეს სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის შექმნა აფხაზეთში, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთ-საქართელოს ომის ინსპირირება აფხაზეთში 1992-1993 წლებში, რის შემდეგადაც აფხაზეთის ტერიტორიიდან მოხდა დაახლოვებით 80% მოსახლეობის გამოდევნა (ეს მხოლოდ ქართელ და აფხაზ მოსახლეობას შეეხო).

საქართველოს ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვა კუთხიდან უნდა სცადოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლა, საქართველომ უნდა დაანახოს მათ, თუ რამდენს კარგავენ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება, რომ არ უნდათ. ამისათვის ძალიან დიდი შრომა და მოთმინებაა საჭირო, რადგან რომიც არ აშენებულა ერთ დღეში. ამიტომ ჩვენ წინდახედულობა გვმართებს დაკარგული ტერიტორიების მიმართ, ისინი ჩვენი ქვეყნის საკუთრებაა და ასეც უნდა დარჩეს, არავის არ აქვს მისი ხელყოფის უფლება.

საქართველომ წინდახედულობასთან ერთად უნდა გაამკაცროს ტონი, ამის გარეშე ჩემი აზრით, არ გამოვა არაფერი, რადგან ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ ქვეყანას ვართ შეჭიდებული და მასზე გასამარჯვებლად მხოლოდ სხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან შეხვედრით ვერ მივაღწევთ, ჩვენ უნდა ერთ მაგიდასთან დავჯდეთ და განვიხილოთ ეს თემა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სიმცირის მიხედვით ჩვენთვის პატარა მიწის ნაკვეთიც კი უმნიშვნელოვანესია. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი რომ აიძულოს რუსეთი დაგვიბრუნოს ჩვენი ტერიტორიები რათქმაუნდა ეს დიპლომატიურად და ცივილურად უნდა მოხდეს რადგან ჩვენ რუსეთს ომით ვერასოდეს ვერ მოვუგებთ. მხოლოდ საქართველოში ყოფნა და აქედან იმაზე „ყვირილი“, რომ საქართველო უნდა დატოვონ რუსებმა დიდ შედეგს ვერ გამოიღებს. ამიტომ ჩემი აზრით, საქართველომ უნდა დააფიქსიროს თავისი აზრი სხვა ქვეყნებთან, მკაფიოთ და გასაგებად ამ საკითხზე იქნება ეს

რუსეთი, ამერიკა თუ საფრანგეთი არ აქვს ამას მნიშვნელობა, ჩვენ რაც უფრო ვიცდით, მით უფრო გვიახლოვდებიან რუსი ჯარისკაცები და იტაცებენ ჩვენს მიწებს.
კონფლიქტის დარეგულირების გზები, ჩემი აზრით, უკვე პოლიტიკას აღარ ეხება. ეს უკვე საქართველოს და რუსეთის მაცხოვრებლების გადასაწყვეტია. ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორი ურთიერთობა გვქნება მათთან. ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენ თავებში კონფლიქტის მოგვარების გზები და იქნებ ოდესმე ქართველებმა და რუსებმა შეძლონ ერთად ცხოვრება, როგორც ორმა კარგმა მეზობელმა, თუმცა ეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ისინი ჩვენს მიწებს დაგვიბრუნებენ.

- **,,სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები''**

გიორგი ქარდავა,

სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა

,,ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თვისი ძალღონით,თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა,რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი,იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის''-წერდა ვაჟა-ფშაველა.

ქვეყანაში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ყოველი ადამიანი უნდა გახდეს საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქე.უხსოვარი დროიდან,როდესაც კაცობრიობა განვითარების გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა,ადამიანები არა მარტო საკუთარ თავსა და ოჯახებზე,არამედ მეზობლებზე,თანასოფლელებზე,თემის სხვა წევრებსა და სრულიად უცნობ ადამიანებზე ზრუნავდნენ.საზოგადოებრივი საქმიანობა და საზოგადოების პასუხისმგებლობაც ისეთივე ძველია,როგორც თავად საზოგადოება.თითოეულ ადამიანს შეუძლია საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის წარმართვა,მათ შორის ახალგაზრდებსაც, თუმცა ამას სურვილი და ცოდნა სჭირდება.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში თავისი სიტყვა უნდა თქვას ახალგაზრდობამაც, ვინაიდან მკვდარია ის ქვეყანა, რომელსაც ინერტული და ინდიფერენტული მომავალი თაობა ჰყავს. ჩვენი ნებისმიერი მცდელობა მნიშვნელოვანია, რადგან ის ადრე თუ გვიან აუცილებლად მოიტანს ქვეყნისთვის სასურველ შედეგს. ამიტომაც ახალგაზრდების როლი სახელმწიფოს მართვაში ძალიან დიდია. ახალგაზრდები ქვეყნის მომავალია, მათ თავიანთი ცოდნით შეუძლიათ წინ აღუდგნენ მთავრობის არასწორ ქმედებას და ერთიანი ძალებით შეცვალონ მათი გადაწყვეტილება.

ისტორიულად და დღესაც მოქალაქის ცნების მთავარი გამსაზღვრელი პიროვნების მიერ უფლებების გამოყენება და მოვალეობების შესრულებაა.ადამიანსა და მოქალაქეს შორის ძირითადი განსხვავება ისაა,რომ ადამიანს დაბადებიდან აქვს მინიჭებული უფლებები,ხოლო მოქალაქეს,უფლებების გარდა,აკისრია მოვალეობები და პასუხისმგებლობები. სახელმწიფო იცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს,ხოლო,თავის მხრივ,მოქალაქეები ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს,რომლებიც საკუთარი თვის,ოჯახის,სახელმწიფოს მიმართ აკისრით.დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეები სარგებლობენ უფლებით და თავისუფლებით,მონაწილეობა მიიღონ თავიანითი ქვეყნის ცხოვრებაში.

სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც თითოეულ ინდივიდს, მოქალაქეს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოთქვას თავისი აზრი და ამ უფლებით სარგებლობის პროცესში, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშევე იყოს პასუხისმგებელი.

კაცობრიობის განვითარებამ ნათელყო, რომ სიტყვის თავისუფლება ერთგვარი პლაცდარმია, რომელიც პიროვნულ თავისუფლებას შობს და ინდივიდს საკუთარი ნააზრევის, განცდილის თუ ნანახის გამოთქმის, სხვათათვის გაზიარების შესაძლებლობას ანიჭებს. როგორც ერთ დროს ამერიკელმა სენატორმა რობერტ კენედიმ აღნიშნა, "პიროვნების თავისუფლების საწყისი სიტყვის

თავისუფლებაა, აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება, საშუალება განვასხვავოთ საკუთარი თავი ტყის ნადირისა თუ შინაური პირუტყვისაგან".

სიტყვის თავისუფლების დაცვის ვალდებულება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლშია ჩამოყალიბებული, იმავე კონსტიტუციაში ნათლადაა მითითებული, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა – დაუშვებელი. საკანონმდებლო ბაზა სიტყვის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით ნამდვილად სანიმუშო გვაქვს, თუმცა, როცა კანონის აღსრულებაზე მიდგება საქმე, სწორედ აქ იქმნება რიგი სირთულეები. ჩემი აზრით, მითუფრო სამარცხვინოა ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების დარღვევებზე საუბარი, როცა საქართველო მზარდ დემოკრატიულ ქვეყანად მოიაზრება საერთაშორისო ასპარეზზე და ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებაც სწორედ "დემოკრატიული იმიჯის" მეშვეობით გვაქვს განზრახული. ქართულ რეალობაში სიტყვის თავისუფლების პრობლემურობის დასასაბუთებლად შეგვიძლია ქართული მასმედიის ახლო წარსულის ისტორიულ ქრონიკასაც გადავავლოთ თვალი. მედია, როგორც წესი, არის ის სუბიექტი, რომელიც სიტყვის თავისუფლების სადარაჯოზე დგას, მედიის კონტროლი საზოგადოების კონტროლის საშუალებას იძლევა, ვინაიდან სწორედ მას ეკისრება სოციუმისთვის მიუკერძოებელი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ამიტომაც, ძალაუფლების ბერკეტის მპყრობელი ძალები თავიანთ სამიზნედ სწორედ მედიასაშუალებებს აქცევენ ხოლმე. არსებული რეალობა ხაზგასმით მიგვითითებს ვითარებაზე, როცა უშუალოდ საზოგადოება და აქვე მისი თითოეული, რიგითი წარმომადგენელი არაა მზად გაითავისოს ლიბერალური დემოკრატიი სფუნდამენტური პრინციპები, რომელთა გარეშეც, ალბათ შეუძლებელი იქნება, შემდგარ, თავისუფალ, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყანა.

მე, როგორც მოსწავლეს, ჩემი ქვეყნის მომავალ თაობას (რომელიც ხშირად ხდება ბრალდებების სამიზნე და კრიტიკის ობიექტი, თითქოს ის არ გვეყოფოდა, რომ უმძიმეს დროებაში მოვევლინეთ ქვეყანას), არ მინდა, ჩემი ქვეყანა ისეთ "დემოკრატიის შუქურად" იწოდებოდეს, სადაც სიმართლის თქმა ხშირად ადამიანებს სიცოცხლის ფასად უჯდებათ; მინდა, საქართველოში მოქალაქეებს ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათ მოთხოვნებს ვიღაც უსმენს, მათი აზრი არ რჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" ანდა უკიდურეს შემთხვევაში, არ უკრძალავენ თავიანთი მოსაზრებების ხეირიანად გამოთქმას.

ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების უპირველესი გარანტი უნდა იყვნენ თავად მოქალაქეები და არა სახელმწიფო აპარატი, ან ვიწრო ინტერესთა ჯგუფები.

ის მოქალაქე, რომელმაც იცის, რომ ვერ დაიცავს თავის უსამართლოდ შებღალულ ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, ვერ გახდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დამცველი, საკუთარ ქვეყანაში. ამიტომ, უნდა შემუშავდეს ფართო საზოგადოებისთვის მისაღები და რეალობის შესაბამისი კანონი.

მე და შენ გვინდა უკეთესი საქართველო.მე და შენ უნდა ავაშენოთ უკეთესი საქართველო-სწორედ მე და შენ! ჩვენ გვინდა უკეთეს საქართველოში ცხოვრება, მაგრამ ამისათვის გარდაქმნა საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, ყველაზე მარტივიდან – მორალური პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღებიდან. სანამ პასუხისმგებელის საკუთარ თავში ძიებას და საკუთარი თავისაგან მხოლოდ კანონიერი ვალდებულებების მოთხოვნით შემოვიფარგლებით, მე და შენ მუდამ ისეთ ქვეყნებზე ოცნებაში ვიქნებით, სადაც ჩვენზე მეტი სამოქალაქო შეგნების ადამიანები ცხოვრობენ.

უფლებების დაცვა მოვითხოვოთ და არა იმის უფლება-სხვების მიერ აშენებულ სამოქალაქო საზოგადოებაში საკუთრი ადგილი დავინახოთ.ჩვენ გვაქვს მორალური უფლება,მოგვწონდეს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა,მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მორალური

უფლება,არ წავიდეთ არჩევნებზე. დავიწყოთ საკუთრი თავით: ჩემთვის, შენთვის, ოჯახის წევრებისთვის, შვილებისთვის, მეგობრებისთვის, ჩვენი თუ არა მათი კეთილდღეობისთვის აუცილებლად უნდა წავიდეთ არჩევნებზე. არჩევნებში მონაწილეობა ახალი უკეთესი მომავლის პერსპექტივაა.
უნდა გავაცნობიეროთ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას სწორედ აქტიური მოქალაქეები აშენებენ. ამის საფუძველი უპირველესად,იმ პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გარშემომყოფების მიმართ გვაკისრია. იმისათვის რომ საზოგადოება უკეთესი გახდეს,თითოეული ადამიანის ვალდებულებაა მხოლოდ სახლში კი არ შეიქმნას სიმყუდროვე,არამედ მის გარეთაც დაარასდროს იყოს გულგრილი,რადგან ერთხელ ისიც შეიძლება აღმოჩნდეს მარტო ჩაბნელებულ სადარბაზოში და გასაღები ვერ იპოვოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს კონსტიტუცია,

„ როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“

(ნ. ბესელია, ნ. ბოკერია, მ. კორძაძე),

„ თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან“

(ნ. ერემაშვილი, ლ. ახვლედიანი)

- „სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები"

(ახალგაზრდობის როლი სახელმწიფოს მართვაში)

ლევან ქავთარაძე,

გალავნის საჯარო სკოლა

დედამიწაზე არსებული ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ძალას წარმოადგენენ ჩვეულებრივი ადამიანები. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან ისინი: მდიდრები არიან თუ ღარიბები. საერთ სახელით ქვეყნის მოქალაქედ მოიხსენიებიან.

ნებისმიერი მოქალაქე თანასწორია სახელმწიფო კანონმდებლობის წინაშე. ნებისმიერ მოქალაქეს გააჩნია სიტყვის თავისუფლების უფლება და საკუთარი ღირებულებების საჯარო გამოხატვის უფლება. სწორედ ასეთი თავისუფალი საზოგადოების წევრები არიან ახალგაზრდა მოქალაქეები, რომელთაც გააჩნიათ და აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე.

ნებისმიერ სახელმწიფოში ახალგაზრდობა ერთ-ერთ უძლიერეს ძალად ითვლება. ეს არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყველაზე თავისუფალია ქვეყანაში, რომელსაც არ ეშინია არც სამსახურის და არც ქონების დაკარგვის. ეს არის ფენა, რომელიც დაიცავს თავისი ქვეყნის სუვერენიტეტს და კონსტიტუციას სისხლის ფასადსაც კი.

სწორედ ამ პრინციპების დამსახურებაა ის, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის მიიჩნეოდა ეროვნული ტრადიციების დამცველ ძალად. ასევე ისინი ყოველთვის აპროტესტებენ ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერ უსამართლო მოვლენასა თუ შინა არეულობას. იცავდნენ თავის იდენ ტობას ნებისმიერი რეპრესიისა და დაუნდობელი სისხლისღვრის მიუხედავად. რიგ შემთხვევებში ამის თვალსაჩინო მაგალითია ცხრა აპრილს დაღუპული ახალგაზრდების თავდადება, რომელთაც სისხლის ფასად დაუბრუნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ნორჩი ფენის მთავარი მისია იყო ხმა მიეწვდინათ მსოფლიოსათვის და ხალხში გაეღვივებინათ პატრიოტული სულისკვეთება.

შესაძლებელია სახელმწიფოში იყვნენ კარგი პოლიტიკოსები ანდა კარგი დიპლომატები, მაგრამ ქვეყანა ვერ ჩაითვლება ძლიერად თუ მის შიგნით არ არსებობს განათლებელი და პატრიოტი ახალგაზრდობა. ქვეყანა განადგურებულია როდესაც მის შიგნით არსებული სოციალური ფენების ერთობლიობა დაცემული და დაშინებულია. სწორედ ასეთი ვითარების განსამუხტავად და მოსახლეობის გამოსაფხიზლებლად არის საჭირო ძალა, რომელიც მუდამ ფხიზლად იქნება. ვინ იქნება ასეთი ძალა ქვეყანაში? - რა თქმა უნდა ახალგაზრდობა.

ახალგაზრდა ნებისმიერი მტრისათვის მიიჩნევა ერთ ჩვეულებრივ, უსაფრთხო მოქალაქედ, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებელი მოქმედება კრიტიკულ სიტუაციებში.

ასეთი პიროვნებისაგან რაიმე ხიფათს არავინ მოელის, მაგრამ როდესაც რამოდენიმე ასეთი ადამიანი ერთმანეთს ხვდება და იკრიბება ნელ-ნელა ყალიბდება უძლიერესი არმია ნიჭიერი და განათლებული ადამიანებისა. განათლება და ცოდნა არის ის, რაც ადამიანს ვერასოდეს, ვერავინ წაართმევს. სწორედ ამ წაურთმეველი საუნ ჯის გამოყენებით შესაძლებელი შედეგის მიღწევა კრიტიკულ სიტუაციებში. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ნიუანსი, ვერც ახალგაზრდა მოქალაქეები ვერ მიაღწევენ მიზანს თუ მათ არ ექნებათ მოსახლეობის ნდობა და მხარედაჭერა.

ჩემი, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდის, სრულუფლებიანი მოქალაქის და დამოუკიდებელი პიროვნების უმთავრესი მოვალეობაა,

დავიცვათ ჩვენი სამშობლოს ღირსება, ტრადიციები და დამოუკიდებლობა. ჩვენი ახალგაზრდების მოვალეობაა დსავანახოთ მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, დავარწმუნოთ ნებისმიერი ქვეყანა რომ საქართველო არ დაეცემა, არ შეცვლის თავის მრწამს და არ უარყოფს თავის ტრადიციებს, ვერც ერთ ადამიანს დაჩაგრეავენ ჩვენს ქვეყანაში, რადგან მათ გვერდით ჩვენ ვიდგებით. ჩვენი ახალგაზრდობის ერთობლიობითაა შესაძლებელი ,,ივერიის" გაბრწყინება და ფეხზე წამოყენება. ნებისმიერი ჩვენთაგანის უმთავრესი მოვალეობაა ვიყოთ ღირსეული ქვეყნის ღირსეული შვილები და მშობლებისათვის, ხალხისათვის, მეგობრებისათვის სამაგალითო ადამიანები.

წელს მე, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი, მეთორემეტე კლასს ვამთავრებ. მინდა სწავლა გავაგრძელო უმაღლეს სასწავლებელში, იმედია აუცილებლად ვიქნები სტუდენტი. ერთ-ერთი რიგითი მაშენებელი ჩემი ქვეყნისა ყველა პრინციპის დამცველი. ადამიანის ღირსების და თავისუფალი სიტყვის. მექნება სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მოვალეობა, იმედი მაქვს ხვალინდელი დღის. ჩემს სკოლაში არის სამოქალაქო კლუბი ,,გალავანი". მისი ხელმძღვანელი არის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი მაია ჭინჭარაშვილი. მისი ხელმძღვანელობით ჩვენ შევხვდით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, დავასუფთავეთ სოფლის გზები, გამოვიკვლიეთ პრობლემები თემში, ჩავატარეთ კონფერენცია ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი", ავირჩიეთ მოსწავლეთა თვითმართველობა და მისი თავმჯდომარე, რომელიც სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრია.

სამოქალაქო განათლების სრული კურსი გავიარეთ, ვისწავლეთ პროექტის წერა და ჩემი სკოლის კლუბმა ,,გრანტი" მიიღო. ჩვენ ნელ-ნელა ვისწავლეთ საზოგადოებასთან ურთიერთობა და გავაცნობიერეთ რა შეგვიძლია და რისი ვალდებულები ვართ სახელმწიფოს წინაშე.

ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სიცოცხლე გავწიოთ, შეგვიძლია 18 წლიდან ვიმსახუროთ არმიაში, მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში, ვიყოთ თავისუფალი, მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე, თვალი მივაპყროთ ევროპასა და იმედი მაქვს, რომ ჩემი ქვეყანა ამ კურსს არ გადაუხვევს, მაგრამ პირველ რიგში მე ვარ ჩემი ქვეყნის მოქალაქე და უნდა ავიღო სამოქალაქო პასუხისმგებლობა ჩემი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. მე ვიცი, რომ ვიქნები ჩემი ქვეყნის ღირსეული შვილი. ჩემი სკოლის ყოფილი მოსწავლე იყო არჩილ ჩოხელი (დაიღუპა ლოპოტას ხეობაში) მამუკა ბეკურაშვილი (2008წ ომში გმირულად დაიღუპა) მათ პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. ასეთ%მა ბიჭებმა გადაარჩინეს ჩემი ქვეყანა, რომ დასცლოდათ, ქვეყნის, სახელმწიფოს მართვაში მათი როლიც განსაზღვრული იქნებოდა. იმედი მაქვს ჩემს თაობას სისხლისღვრა მეტი აღარ დასჭირდება, მაგრამ ჩვენი გონი, აზრი, განათლება საჭირო იქნება სახელმწიფოს დემოკრატიული პრინციპების, სახელმწიფოს სტრუქტურების და მმართველობის სფეროში.

არჩევნები უნდა იყოს სამართლიანი, თანასწორი და ამომრჩევლის ხმები უნდა იყოს დაცული. ჩვენ, დღევანდელი ახალგაზრდობა მომავალში შევეცდებით ჩვენი არჩევანის დაცვას. იმიტომ, რომ ჩვენ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ჩემი სახელმწიფო არ უნდა დააზარალოს, უნდა მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის ინტერესებს დაიცავს, შექმნის ძლიერ ეკონომიკას და დიდ ყურადღებას მიაქცევს მომავალი თაობის განათლებისა და აღზრდის საქმეს.

მომავალში ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი ქვეყნის მთავრობა, ვიქნებით პოლიტიკოსი, იურისტები, ექიმები, მასწავლებლები და სულ ჩვენ ვიქნებით... ოღონდ უფრო ძლიერები, სამართლებრივი სახელმწიფოს მესაჭეები, სადაც კანონი იქნება უზენაესი.

- „სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“

ნინო მარქარაშვილი
სოფელ ნიჩბისის საჯარო სკოლა

თითოეული ჩვენთაგანი 18 წლის ასაკში ვხდებით ჩვენი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქე.უფლებების მოპოვებასთან ერთად გვაქვს აგრეთვე მოვალეობაც ოჯახის, ქვეყნის საზოგადოების წინაშე. თითოეული მოქალაქე აქტიურად უნდა იყოს ჩართული დემოკრატიული საზოგადოების მოწყობის საქმეში. დემოკრატიის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნის. დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქე თავისუფალია თავის არჩევანში, თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრს,აქვს თვითგამოხატვის უფლება. დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქემ იცის თავისი უფლებები და შეუძლია მათი დაცვა. თითოეული ახალგაზრდა ქვეყნის მომავალია. ახალგაზრდებს მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ქვეყნის განვითარების და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში. ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების განუყოფელ ნაწილს, ფენას ,რომელსაც შეუძლია დამკვიდრებული შეხედულებების ინოვაცია და პროგრესირება.

ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში საჭიროებს განვითარებას და მრავალ ცვლილებას. სახელმწიფომ და მისმა შესაბამისმა ინსტიტუტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდების ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

დემოკრატიულ სახელმწიფოდ სრულყოფილების ფორმირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უკავია სამოქალაქო საზოგადოებას.სამოქალაქო საზოგადოების არსებობა იმდენად მნიშვნელოვანია რომ ზოგჯერ დემოკრატიულობის წინა პერიოდადაც მიიჩნევენ ქვეყნის განვითარების საქმეში. სამოქალაქო საზოგადოება დგას ოჯახსა და სახელმწიფოს შორის . ის არის ორგანიზაციების ან ინსტიტუტების ერთიანობა ,რომელიც ახორციელებს ისეთ სხვადასხვა სამუშაოს ქვეყანაში, რომელსაც ვერ ან არ ასრულებს მთავრობა. სამოქალაქო საზოგადოების დევიზი არის „ყველა ერთისათვის“. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მისი მოქალაქეების ისეთი მნიშვნელოვანი აქტიურობის მაჩვენებელია, რომელიც მთელ საზოგადოებას ერთიანს და ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესით გამსჭვალულს ხდის. საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქე ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეში, ინტერესდებოდეს ქვეყანაში, ქალაქში, თემში მიმდინარე პროცესებით, ხმამაღლა სვამდეს შეკითხვებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ თვისებების მქონე მოქალაქეებისაგან შემდგარი სოციუმი წარნოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას.

სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ძირითადად საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია მოქალაქეების სურვილის და ინტერესების გამოხატვა. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძირითადი პრინციპი უნდა იყოს თავისუფალი პიროვნების აღზრდა. რა არის ადამიანისთვის თავისუფლება? სიცოცხლე, ბედნიერებისკენ სწრაფვა ის ბუნებრივი უფლებებია, რომლებიც დაბადებიდან ენიჭება ადამიანს. ადამიანები სწორედ ამ და სხვა უფლებათა დაცვის მიზნით ქმნიან ხელისუფლებას და თუ ეს უკანასკნელნი ვერ ან არ იცავს მოქალაქეთა უფლებებს, ხალხს შეუძლია, შეცვალოს ან გააუქმოს არსებული მმართველობა და აირჩიოს ახალი ხელისუფლება.

ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს სხვადასხვა კანონი, მაგრამ მთავარი ცენზორი პასუხისმგებლობაა. თითოეული მოქალაქე პასუხისმგებელია საკუთარი თავის, ოჯახის საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე. ქვეყნის წინაშე მოქალაქის პასუხისმგებლობა ვლინდება საყოველთაო არჩევნებში. თავისუფალ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიის

განვითარება და აღმავლობა ჩანს არ იზღუდება თავისუფალი აზრი. თითოეული მოქალაქე საკუთარი ქვეყნის მცირე, მაგრამ აქტიური ნაწილია. თავისუფალი აზრის მქონე მოქალაქეების მიერ გაკეთებული არჩევანიც თავისუფალია და ყოველგვარ შეზღუდვას გმობს. ამიტომ აუცილებელია, თითოეული მოქალაქისთვის გახდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება საპასუხისმგებლო საქმე, რადგან საქმე ეხება, როგორც მათი, ასევე ზოგადად ქვეყნის მომავალს და მათი შთამომავლობის კეთილდღეობას.

ამრიგად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა, დემოკრატიული სახელმწიფოს შენება, თითოეული ჩვენთაგანის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის საქმეა, ეს არის საშუალება ერთად ცხოვრებისა და მუშაობის, ურთიერთთანამშრომლობის, ტოლერანტობის, რათა მომავალ თაობას მიეცეს საშუალება, თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. X-XII კლასის სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძვანელო
2. ინტერნეტი

- ,,სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები"

(თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საზოგადოებაში)

თორნიკე მირესაშვილი

ქალაქ მცხეთის #2 საჯარო სკოლა

თავისუფალი სიტყვა მნიშვნელობას მაშინ იძენს, როდესაც იგი ჭეშმარიტია, ხოლო საზოგადოება მაშინ არის თავისუფალი როდესაც აზროვნებს. თავისუფლად აზროვნება შეუძლია მხოლოდ განათლებულ და ჯანსაღი ფსიქიკის მქონე პიროვნებას, რომელსაც არ ეშინია თავისი გონივრული ქმედების, უფრო მეტიც, მისი ნიჭი არ დაიბლოკება თუ არ განიცდის წნეხს და აგრეთვე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამისათვის არ დაისჯება. ამ შემთხვევაში იგი გააგრძელებს კეთილ საქმეს, ხოლო თუ მას ზღუდავენ და მუდმივად აკონტროლებენ, შედეგად მივიღებთ ზომბირებულ და შეშინებულ პიროვნებას, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნია. თუ ადამიანი არ აღიზარდა სწორად, მაშასადამე იგი ვერ იქნება თავისუფალი და ვერც თავისუფალი სიტყვის თქმას შეძლებს. ჯანსაღ სხეულში ყოველთვის იარსებებს ჯანსაღი სული, რომელიც კეთილგონიერ თაობას აღზრდის. კეთილგონიერებაზე დიდადაა დამოკიდებული ერის მომავალი, ქვეყნის წინსვლა.

გულგატეხილობა უსამართლობის პირმშოა, ხოლო სასოწარკვეთა კი ბოროტების სათავედ მოგვევლინება. ყველა სულდგმული ღვთის ნებით არის ამ მიწა-წყალზე დაბადებული, ხოლო ადამიანი კი მათგან განსხვავებულად იმიტომ ითვლება, რომ მათ შეუძლიათ ინსტიქტების მართვა და მათი გაკონტროლება. ამ ბალანსის დარღვევა ხდება არამდგრადი და გაუწონასწორებელი, არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანის ქცევის ხარჯზე. მათ ასეთ უკონტროლო ქმედებას წინ უძღვის ფსიქოლოგიური ტრამვები, რომლებიც მისი ცხოვრებისეული ფაქტების შედეგია, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში აღიზარდა ესა თუ ის მოქალაქე.

თითოეული ჩვენთაგანი უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სხეული სიჯანსაღით გამოირჩეოდეს, რადგან ჯანსაღ სხეულში ყოველთვის დაიბადება ჯანსაღი იდეა. ყოველივე ამის ფონზე ვისურვებდი, რომ საჯარო სკოლებში დაინერგოს სიღრმისეული წვდომის დამფუძნებელი საგანი - ,,ჯანსაღი თაობა'', სადაც გააზრებულად და ჩამოყალიბებულად იქნება ფსიქოლოგიურ დონეზე წარმოდგენილი და ახსნილი, თუ რატომ არ უნდა მივიღოთ ე.წ. ,,არაჯანსაღი'' პროდუქტი (ალკოჰოლი, ნარკოტიკი, თამბაქო), რომელიც ასე თრგუნავს და აობლებს სულიერად ადამიანს, რადგან ხშირად დანაშაული განპირობებულია არასწორად განვითარებული მოზარდისგან, რომელსაც ჯანსაღი აზრი არც კი აინტერესებს და მისთვის ცხოვრების სარბიელზე მხოლოდ საკუთარი ინსტიქტებით მოქმედებაა მიღებული. თუკი სწორად აღვზრდით თაობას, მივიღებთ ჯანსაღად მოაზროვნეებს. ჯანსაღად აზროვნება კი რჩეულთა ხვედრია. ჩვენი ვალდებულებაა, რომ ვიყოთ თვითდაჯერებულნი და საღად მოაზროვნენი. რადგან თავისუფალ საზოგადოებაში შეგვეძლოს თავისუფალი სიტყვის თქმა, რომელიც ნათელი მომავლისკენ იქნება მიმართული. რადგან ჩვენ ვქმნით მომავალს, პასუხისმგებლობაც ჩვენვე გვაკისრია, რომლის სტანდარტებიც ჩვენი დასაწესებელია, ამისათვის კი საჭიროა გათითოკაცებული გულისხმიერება და ჩართულობა და არა განზე დგომა და სხვისი გონებით მოქმედება. ჩვენ ხომ იმ ერის შვილები ვართ, რომელთა სულშიც რაინდული სულისკვეთებაა ჩასახული. ახლა კი სწორედ ის დროა გამოვფხიზლდეთ და ,,ქუდზე კაცით'' დავიცვათ ქვეყნის ინტერესები, რომელთა შელახვასაც არ გვაპატიებს ჩვენი მომავალი, რომლის ისტორიაც საკმაოდ ხანდაზმულია და მასში არსებული ფაქტები გასათვალისწინებელია და ხშირ შემთხვევაში მისაღებიც.

ქართველ კაცს აქვს ერთი თვისება. იგი ბედნიერია, რომ ქართველია. ჭირშიც და ლხინშიც იმიტომ უჭირავს თავი ამაყად, რომ ქართველია, დიდი წინაპრის ჩამომავალი. ქართველი კაცი რომ ქართველია და საქართველოში ცხოვრობს, ამით განუკურნებლად ბედნიერია, რადგან აბა სხვას ვის შეუძილია იყოს საკუთარი თავის სახლ-კარი, დედ-მამა, და-ძმა, ნათესავი და მეგობარი, ვის შეუძლია იყოს საკუთარი თავის სამშობლო? რა არის ადამიანი ამ განცდის გარეშე? ქართველს ისე უყვარს საქართველო, რომ მის დასაცავად საკუთარ სიცოცხლესაც კი გაიღებს. საქართველოს ოდითგანვე ჰყავდა მტერი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ურჯულო ყოფილა, მაგრამ გვყოლია შუშანიკი, გრიგოლი, აბო და ბევრი მისთანი. ისინი ღვთის განგებამ შეჭირვების დროს სიწმინდის სიმტკიცისათვის მოგვივლინა, რათა დამონებული ადამიანი უწმინდურთა მსხვერპლად არ ქცეულიყო და საკუთარი ღირსებისა და ადათ–წესების დასაცავად ბოლომდე ებრძოლა, რაც შემოგვინახა ჩვენმა წინაპრებმა- მეტად დასაფასებელი და საამაყო. ისინი ხომ ერს გადაშენებისაგან იცავდნენ და ნარ-ეკალს ხელით გლეჯდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ მათ მიერ გათელილ ბილიკებზე ია და ვარდი აღმოცენდებოდა და გაბრწყინებული სამშობლო დიდების შარავანდედით შეიმოსებოდა.

იმედია, ჩვენი სამშობლო გაბრწყინდება და დროებით ოკუპირებული ტერიტორია კვლავ ჩვენს კუთვნილებაში იქნება. დაიბადება კიდევ ერთი დავითი - ,,აღმაშენებლად'' წოდებული, რომელიც ჩვენს სამშობლოს გახდის მთლიანს ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე. ქართველთა გულები სამშობლოსთვის მუდამ იძგერებს და სისხლძარღვებში თავისუფლებას მოწყურებული სისხლი იჩქროლებს. ყველა ქართველი სულით პატრიოტია და მონობაში გადიდკაცებას ურჩევნია თავისუფლების ძიებაში გარდაცვალება.

უპირველეს ყოვლისა ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ დავიბადე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში - საქართველოში. მას ადგილმდებარეობის გარდა ბევრი ღირსშესანიშნავი და ფასეული ღირსება აქვს, იმაზე მეტიც, რასაც ჩვენი გონების თვალით ვერ ვწვდებით. ამ ლამაზ და თვალწარმტაც ქვეყანას არაერთხელ ჰქონია შეხების ცეცხლოვანი წერტილები მეზობელ თუ არამეზობელ მომხდურ მტერთან, რომელთაც ისეთივე მძიმე ხსოვნა დაუტოვებიათ ერის ცხოვრებაში, როგორც ქრისტეს ვნებას.

ქართველებმა ისე შევისისხლხორცეთ ქრისტიანული ცნება მოყვასის სიყვარულისა, რომ საკუთარი თავიც ხშირად შეგვიწირავს გადამთიელისათვის, მადლობის მაგიერი კი ცილისწამება და უმადურობა იყო მუდამ. ქართველი ხალხი თავისუფლების სულისკვეთებით არის განმსჭვალული. ყოველ ქართველ კაცს სწყურია თავისუფალი სუნთქვა და მუდამ მის ძებნაშია, ამის ნათელი მაგალითია არაერთი ქართველი პატრიოტი, რომლებმაც შეძლეს საქართველოს გამოღვიძება ,,საღათას ძილისაგან''. პირადად მე გამოვარჩევდი დიდ პატრიოტ მოღვაწეს მერაბ კოსტავას, რომლის სიკვდილიც უდიდეს დანაკლისი იყო მთელი საქართველოსთვის. ჩვენს აღრეულ ეპოქაში ღვარძლით, ცინიზმით, გაურკვევლობით აღსავსე დროში შეძლო შეენარჩუნებინა პიროვნული მთლიანობა, იყო მედგარი, შეუდრეკელი, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი დიდი სიყვარული და თავგანწირვა სამშობლოსადმი, რომელიც მისთვის უმაღლეს ჭეშმარიტებას წარმოადგენდა. სამშობლო მერაბ კოსტავასთვის იგივე იყო, რაც სინათლე იმ საშინელ სიბნელეში, როცა სიმართლე ყველას მკვდარი ეგონა, ხოლო სიმართლის თქმა - შეუძლებელი. მან ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ბოროტების წინააღმდეგ. ის გახდა ჩვენში გაღვიძებული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. განგებამ მას ეკლიან გზაზე სიარული არგუნა, მაგრამ ეკლიან გზაზე სიარული სწორე რჩეულთა ხვედრია. უდიდესი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია დიადი საქმის კეთება, რაც იოლად მოდის, იოლადვე ქრება. კოსტავას პიროვნული ბედნიერება - ეს იყო საქართველოს ბედნიერება, რომლისთვისაც მან ყველაფერი გაიღო, თვით საკუთარი სიცოცხლეც კი. ყველაზე მთავარია რას უტოვებ

შთამომავლობას სიკვდილის შემდეგ - ზიზღს თუ სიყვარულს. მერაბმა დატოვა ნათელი კვალი, რომელიც არასდროს წაიშლება, მან დატოვა დაუვიწყარი მაგალითი ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, რომელმაც მონობაში გადიდკაცებას თავისუფლების ძებნაში სიკვდილი არჩია. მან სრულ სიბნელესა უმეცრების ჭაობში ააგიზგიზა სამშობლოს სიყვარულის ნამდვილი კოცონი, რომლის ჩაქრობაც დღემდე შეუძლებელია.მან ერთარსად აქცია რწმენა ღვთისა და რწმენა თავისუფლებისა.

მე ასე მესახება ჩემი ხვალინდელი დღე, რომელიც წარსულის აჩრდილსაც კი არ მიიკარებს და ყოველთვის იმედიანად და ხალისიანად დავიპყრობთ მწვერვალებს. ჩვენს ეპოქაშიც მრავლად არიან პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებები, რომელთა გაფრთხილება და დაფასება ჩვენი ვალია, რადგან მათი ქმედება და თითოეული ნაბიჯი ნათელი მომავლის ხედვის საწინდარია. აქტიურად უნდა ვიყოთ ჩართულნი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში, არ გვეშინოდეს სიახლეების და გავითავისოთ სხვისი ტკივილი, რომლის გარეშეც სამყარო წარმოუდგენელია. უნდა ვეცადოთ, რომ დრო მოგვერგოს ჩვენ და არა პირიქით, რაც სამწუხაროდ ასეა დღემდე. მხოლოდ ერთ მუშტად შეკრულ ერს შეუძლია გამთლიანებული, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს შენება, რომლის ფუნდამენტის სიმყარეც დამოკიდებულია თავისუფალი საზოგადოების რწმენის სიმტკიცეზე.

ინფორმაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანობის შესახებ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივნისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წარმოადგენს ახალგაზრდულ უფლებადაცვით არასამთავრობო ორგანიზაციას, მოქმედებს წესდების, შინაგანაწესის, სადამფუძნებლო საბჭოს გადაწყვეტილებების და სტრატეგიული საქმისწარმოების დოკუმენტის „დემოკრატია და უფლებები საქართველოში 2012–2015“ მიხედვით.

„ახალგაზრდა ადვოკატებს“ ხელმძღვანელობს სადამფუძნებლო საბჭო, ორგანიზაციის სტრუქტურაა: სამუშაო გუნდი, წევრი ადვოკატები, საკონსულტაციო საბჭო.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, დაფუძნების დღიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებისთვის ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან წარმოადგენს ახალგაზრდული ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” სრულუფლებიან წევრს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის“ წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აქტიურად თანამშრომლობს კოლეგა პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, მონაწილეობს საერთო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.
„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე. ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საწევრო შენატანი; შემოწირულობები; გრანტები; კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.
„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმდინარე პროექტებსა და დასრულებულ აქტიურობებს წარმოადგენს:

პროექტი:

„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“, 2013 (მიმდინარე)
„ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“, 2013 (მიმდინარე)
„ადგილობრივი ლიდერები – მცხეთის მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის“, 2013 (დასრულებული)

კვლევები/მონიტორინგი
კვლევა: „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“, 2013
კვლევა: „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ანალიზი“, 2013
კვლევა: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013
კვლევა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013
კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ "ახალი ტალღის" ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ", 2013
კვლევა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს", 2013
კვლევა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013
კვლევა: „საბჭოთა და პოსტ–საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“ , 2013
კვლევა: „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012
კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012
კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობდა
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

ნინი ისაკაძე, *პროექტის კოორდინატორი*
ანა კიკნაძე, *საორგანიზაციო მიმართულების ხელმძღვანელი*
ლევან ბერაძე, *საორგანიზაციო ჯგუფი*
ჯაბა სირაბიძე, *საორგანიზაციო ჯგუფი*
სოფიო აზარიაშვილი, *საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი*
გულიკო არევაძე, *ფინანსური მენეჯერი*
არჩილ კაიკაციშვილი, *ორგანიზაციის თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი*

გამოცემის დიზაინი:
რობი გეთიაშვილი

პროექტის განხორციელების პროცესში,
„ახალგაზრდა ადვოკატები“ განსაკუთრებულ
მადლობას ვუხდით:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს,
ბავშვთა და ახალგაზდობის განვითარების ფონდს,
ქალბატონ ანა ბაქანიძეს, ბავშვთა და ახალგაზდობის განვითარების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურუს უფროსს,
ქალბატონ ელენე გოცაძეს, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ დირექტორს,
ქალბატონ ოლგა სპირანდის, წარმომადგენელს რეინტეგრაციის სამინისტროდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთი ავტონომიური ოლქის საკითხთა სამმართველოს მთავარ მრჩეველს
ბატონ ბექა ბენდელიანს, წარმომადგენელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან, ახალგაზრდობის დეპარტამენტის წევრს,
ბატონ ბექა იორდანიშვილს, მცხეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს,

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები“ განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზდობის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზდობის განვითარების ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში. თბილისი, 2013 წ.

C ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 374509, 2 374503
ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სოფიო აზარიაშვილი – 551 081803
ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778